საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლიც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 6 ნოემბერი. 2023 წ. №124 (9656) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

უცხოეთიდან დაფინანსებული ეფრეები

იხ. 2 გვ.

ცბიერმა NGO-ებმა „მესიჯები“ შეცვალეს

ნათლია მხოლოდ ერთია!

საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

7

ეკლესიის კანონიკური წესის მიხედვით, მიმრქმელი (ნათლია) უნდა იყოს ერთი; ხოლო ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციით, დასაშვებია, იყოს ორიც (მამაკაცი და ქალი; ასევე კანონიკური ტრადიციითვე, ზრდასრული ადამიანის ნათლობისას ნათლია უნდა იყოს იმავე სქესის). საქართველოში გამონაკლისის სახით ნათლიების რიცხვის სამამდე გაზრდა ნებადართულია მიმრქმელად (ნათლიად) კათოლიკოს-პატრიარქის დადგომის შემთხვევაში.

მოდის მატარებელი...

იხ. 3 გვ.

ოპოზიციის მატარა სასოწარკვეთის ჯამოძახილია!

დავით ჩხარტიშვილი:

ებრაული სიმართლე გაიმარჯვებს თუ... ისლამური?!

შესაძლებელია, ზესახელმწიფოებმა მოილაპარაკონ და უომრად გადაინაწილონ ახალი სამყარო!..

იხ. 8 გვ.



თუ ზურაბიშვილი დაბადებიდანვე ავადმყოფ მიშას შეიწყალებს, პოლიტიკურ უფსკრულში გადაიჩეხება!

4

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 85 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ 370 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ!

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 85 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ 370 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ. ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲧᲝ 27 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲘ, ᲐᲜᲣ ᲒᲐᲡᲐᲛᲛᲐᲒᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, 11 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ, ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲜᲝᲖᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 85 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ 370 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 85 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ 370 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ. ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲧᲝ 27 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲗᲘ ᲘᲧᲝ 50 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲘ. ᲐᲜᲣ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲒ, ᲠᲝᲛ 30-ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ. ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗᲘᲗ ᲛᲗᲗ ᲘᲧᲝ 4250 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 2024 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ 8500 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲗᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ 2027 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲜᲝᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ 108 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗᲘᲗ 10 800 ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲜᲝᲖᲘᲐ, ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ 2030 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲗᲘᲗ 10 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ 2-3 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲗᲔ...

2024 ᲬᲔᲚᲡ 5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲖᲔ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲗᲔᲗ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲡᲘᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲗᲐᲜ, ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ – ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲗᲔᲗ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ.

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ, 5%-ᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 2024 ᲬᲔᲚᲡ. ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2024 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ 2,5% ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲛᲗᲗ-Ს 38,2 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲧᲝ 60%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ, ᲛᲝᲙᲚᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ 70-ᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ, ff.k Public Relations-ᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲘᲙᲔ ᲤᲠᲔᲠᲡᲘ (Meike Frers), ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ Wein+Markt ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲐᲢᲘᲐ ᲐᲞᲔᲚᲢᲘ (Katja Apelt) ᲓᲐ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲘᲡ HAWESKO ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲝ ᲚᲔᲜᲒᲔ (Caro Lange) ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲝᲛᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ, ᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲡ.

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲘᲐ. ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ, ᲛᲔᲝᲦᲕᲘᲜᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲑᲗ, ᲗᲣ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, ᲠᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲔᲑᲡ, ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲡᲕᲐᲛᲡ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲔᲘᲙᲔ ᲤᲠᲔᲠᲡᲛᲐ. ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ, ᲒᲐᲘᲒᲝᲜ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲝᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ

ᲪᲑᲘᲔᲠᲛᲐ NGO-ᲔᲑᲛᲐ „ᲛᲔᲡᲘᲯᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲡ

170-ᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, 12 ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲛᲝᲒᲕᲒᲕᲘᲪᲔᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲘᲐᲜᲭᲝᲡ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ Ა/Ო-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲦᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ.

ᲐᲛ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ „ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲐᲦᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ!

„ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲛᲔᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲕᲜᲐᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲣᲪᲮᲝᲠᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲡ ᲣᲑᲓᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ, ᲐᲛ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲚᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ „ᲑᲝᲠᲓᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲗ.“ – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ USAID-ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲤᲣᲚᲡᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲡ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ, ᲞᲐ�პᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ: **„ᲐᲮᲘᲐ USAID-ᲖᲔ. ᲛᲐᲠᲢᲨᲘ, ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲣᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ, ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲝᲜᲝᲠᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ, NGO-ᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ, ᲗᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲐᲮᲘᲐ USAID-ᲖᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲖᲔ, ᲗᲐᲗᲘ ᲚᲝ�გᲝ, ᲗᲐᲗᲒᲐᲜ ᲓᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓ, 8 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ NGO-Ს ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ“,** – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲔᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.**

* * *

„ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ „ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲝᲓᲐ“, ᲐᲮᲚᲐ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲨᲚᲐᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲛ 169 ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲙᲘᲐ.

**„ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ, ᲠᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ EU-ᲡᲒᲐᲜ ᲘᲒᲘᲕᲔ „ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ“ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ 28 ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, 2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. 28 ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ 12 ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 3 ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. „ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲥᲢ

ენას რომ ძვალი მართლაც არა აქვს, ნაღდია! საკმარისია ერთი საღამო ჩაუჯდე ტელევიზორს, რომ ამაში ნერვების ამლით დარწმუნდე.

რა ჭკუამიღმურ აზრებს, შლეგურ წინაღადებებს არ მოისმენ!

გიგა ბოკერია გვიმტკიცებს, თუ სტატუსს ახლა ვერ მივიღებთ, ტრაგედია არ იქნება; თუ 2024 წლის არჩევნებზე ხელისუფლებას შევცვლით, სტატუსსაც მივიღებთ და ნატოში გაწევრების ამოცანასაც დავუახლოვდებითო.

ყოფილი მიცვალებული მიხეილ სააკაშვილი ენამგეობს, ქვეყანა ყარს და ევროკავშირს ცხვირგზე ხელმოჭერით უწევს მისთვის სტატუსის მიცემაო. ღმერთო, ნუ მიწყენ და საკუთარი ნამიცვალებულარი სუნი ხომ არ ეცა „ვივამედის“ გაფუთქინებულ პალატა-საკნებში, რა ხანია მისთვის მოსასვენებელ აპარტამენტად რომ იქცა?

ენის ძვალი არა აქვს...

ოპოზიციის მუქარა სასოწარკვეთის გამოძახილია!

უარესი რა გინდათ? დიდი აგრესორის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქვეყნოდ აცხადებს, ისრაელის მიერ ღაზას დაბომბვა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებაო...

რაც უფრო ახლოვდება 8 ნოემბერი და მის პარალელურად – დეკემბრის გადაწყვეტილებები, სტატუსის ირგვლივ გნიასი პირდაპირ ენების ქავილის ეპიდემიას ემსგავსება. ამ ღრიანცელში დროდადრო ისეთი ოქრო (აქამდე დაფარული ჭეშმარიტება) გაიელვებს ხოლმე, შენი მოწონებული.

ის, რომ ოპოზიციის ნაწილი ხელს უშლიდა სტატუსის მიღების პროცესს, ევროპას „დანოსებით“ ავსებდა, საქართველო სტატუსს არ იმსახურებსო, დიდი ხანია ცნობილი იყო. სულ ღერა-ღერა ვიცოდით სამშობლოს მოძულე „პატრიოტები“, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები აქამდე არ ჩანდა.

გამოჩნდა!

ერთ მშვენიერ დღეს რესპუბლიკელმა ხათუნა სამნიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ოპოზიციის ნაწილს სტატუსზე გადაწყვეტილების მიღების არჩევნებამდე გადავადება სურს და ამის შესახებ უცხოელ პარტნიორებს დახურულ კარს მიღმა ესაუბრებაო. ის რომ ოპოზიციის ნაწილი პარტნიორებისგან ითხოვდა და ითხოვს სტატუსის მინიჭების არჩევნებამდე გადავადებას, დაადასტურა ხატია დეკანოიძემაც. თან ისიც დაამატა, თვითონ თურმე მუდამ იმას უჩიჩინებდა პარტნიორებს, რომ 12 პუნქტის შეუსრულებლობის პირობებშიც კი უნდა მოგვანიჭონ სტატუსი, რა თქმა უნდა, გარკვეული დათქმებით(?!).

აქვე სათქმელად: ამ ორი შავრაზმელი ქალბატონის აღიარებებს ნაცმოძრაობის გააფთრება მოჰყვა, ეს სახელისუფლებო პროპაგანდაა, ამით ოპოზიციური ფლანგი ზიანდებაო.

ოღონდ ეს კია, არ იცი, ენდო თუ არ ენდო ხატია დეკანოიძის აღიარებას. ის პოლიტიკაში ტყუილს, სიცრუეს დასაშვებად მიიჩნევს. იმასაც აცხადებს, რა თქმა უნდა, ტყუილი მეც მრავალგზის მითქვამსო. ტაში დავუკარით! მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მგლის ტყავი გაიხადა და ცხვრისა მოირგო, დამწყებ პოლიტიკოსთა დასამოძღვრად განაცხადა, პოლიტიკაში მთავარი გულწრფელობა და სიმართლე უნდა იყოსო.

ამრიგად, მივიღეთ ის დასტური, რაც ასე სჭირდებოდა საზოგადოებას, დასტური იმისა, რომ ჩვენი ოპოზიციის ერთი, განსაკუთრებით თვალებამოციებული ნაწილი (რომლის კლასიკური წარმომადგენელია სალომე სამადაშვილი), მამაძაღლობს, ანუ როგორც ვარდების რევოლუციამდე იტყოდნენ, ენას ასიქსიქებს, ჯაშუშობს, მაგეზღარობს, სულ ქინძზე ჰკიდია ქვეყნის ბედ-იღბალი, ქართველობის ხვალინდელობა.

ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში მისი გონიერი ნაწილი, რწმუნდება, რომ მომავალი არჩევნები მას გამარჯვებას ვერ მოუტანს და ცდილობს ისტორია შემოაბრუნოს: ერთმანეთს და ხავსს ებღაუჭება, ერთად ლაგდება სუნისა და ფერის მიხედვით.

ნეტავ, ვის მოუვიდა აზრად, რომ ნაცმოძრაობას რამეს შემატებდა „სტრატეგია აღმაშენებლის“ მომიჯვნა. ორივე შემიჯნული ხახამშრალი დარჩა, ჭიჭე ვაშაძემ ამ ნაბიჯით თუ რამ მანამდე ორი კაპიკის საღირალი რეიტინგი მოეძევებოდა, ისიც ქარს გაატანა. ნაცმოძრაობას კი არც ქარის მოტანილი დაუჭერია და არც ქარისათვის გაუტანებია რამე.

არის ოპოზიციის გადარჩენის სხვა ფანტასტიკური გეგმებიც: თვალთხარია გახარიას, ეულად შთენილისალომე ზურაბიშვილისა და „ოსკაროსანი“ ნინო ლომჯარიას ერთ ბლოკად შეკვრა და ოცნებისთვის დაჯახება. რაც მთავარია, არის თავგანწირული ცდა მთელი ოპოზიციის გაერთიანებისა და ბრძოლის ველზე ერთი დროშით გამოყვანისა, რათა ცამ ქუხილი დაიწყოს.

სტრატეგები, იცოცხლეთ, ბლომად არიან. ახლა, ამ ბოლო ჟამს, ორი უახლესი მიზანსცენა მუშავდება: პირველი – „ორთქლმავალი“ და მეორე – „ახალნიკა“. ფსონი უმაღლესია, ორივე კი ნაღდად არის ბოლოს მომღები საქართველოს რუსული, უზურპატორული ხელისუფლებისა.

ჰოდა, ამ გარანტირებული გამარჯვებისთვის პატრიოტები მზად უნდა იყვნენ. და ორი უგადრუკის – გირჩი ჯაფარიძისა და ლიაკა ხოშტარიას თაოსნობით იშვა ყოვლად გინაძური „მონა-GE“, თანამოქლაქეთა სიძულვილის გორობტი ნუსხა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებამ მხოლოდ ფურთხის ღირსად ჩათვალა ეს უგვანი წამოწყება, თუ უნდათ, სარი იპრანა უპანალშიო.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ორთქლმავალსა“ და „ახალნიკას“. მანამდე სრულიად უნაყოფო ოპოზიციურ ნიადაგში მომწიფდა აზრი, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც თავისი იმპიჩმენტის პროცესით გარკვეული რეიტინგი მოიპოვა ოპოზიციაში, დროშად აეფრიალებინათ, არადა ეს ოპოზიცია მანამ, სანამ ქალბატონი პრეზიდენტი „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდებოდა, პრეზიდენტის ხსენებაზე ქართულ-კახური ენამზეობით მოუკითხავდა ხოლმე კეთილებს, ახლა კი მთლად მისკენ მიბრუნდა.

ეს 180 გრადუსით შემობრუნება იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, ოპოზიციას კინაღამ რეტი დაესხა: ზღარბს სად არ ეძებდნენ, ზღარბი კი აგერ ყოფილა, შინ! და იშვა იდეა, რომელიც ახლა იქლიბება უმაღლეს დონეზე, ანუ ამ იდეაზე მუშაობენ საუკეთესო ტვინები. დიდი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შევქმნათ და მას ორთქლმავლად სალომე ზურაბიშვილი ჩავუყენოთო...

ჩუქუ -ჩუქუ -ჩუქუ- ჩუქუ...მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი!..

* * *

მეორე იდეაც ახალ პერსონაზე, ახალ ლიდერზეა დაფუძნებული. ეს ახალი ინდივიდი კი გახლავთ აქამდე პოლიტიკაში „არმყოფი“?), მაგრამ სულ პოლიტიკის ამღვრევის, არევის, ჯოჯოხეთის მოწყობის ცდაში მყოფი ნიკა გვარამია, უწმაწური კაცი, რომლის ენასაც მართლაც არა აქვს ძვალი და იმ ენაზე ერთდროულად ადევს ძაღლის მჩორეც და გალიშა კამფეტიც.

ამ კაცმა თავის დროზე (სააკაშვილის დრო-ჟამს) მოირგო გენერალური პროკურორის მოადგილის, განათლების მინისტრის მუნდირები, ჩვენს ეპოქაში კი ტელემენეჯერობით გამოიჩინა თავი. ჯერ „რუსთავი-2“-დან და შემდეგ „მთავარიდან“ იმდენი სიგინაურე ასხა საქართველოს ტელესივრცეს, რომ კინაღამ გადარია მოსახლეობა. ბოლოს ციხეში ამოყო თავი; გათავისუფლდა როგორც პრეზიდენტის შეწყალებული, იმ პრეზიდენტისა, რომელსაც დღედაღამ უგინაურესად ლანძღავდა.

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის აპირებს ახალი პარტიის შექმნას ხელისუფლებასთან შესაგებელად და ამ პარტიის დასახელებაში უსათუოდ იქნება სიტყვა „ახალი“. შეიძლება ასე: „საქართველოს ახალი გზა“, „საქართველოს ახალი იმედი“, „საქართველოს ახალი სიხარული“ ან სულაც „საქართველოს ახალი მზე“... ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ ცხადია – ნიკა გვარამია რაღაცით უთუოდ „გაგვაგედნიერებს“.

სწორედ ამ „რა იქნება ხვალ?“-ს გამოეხმაურა ამჟამად რამდენადმე მივიწყებული პოლიტიკოსი და პარტიული მოღვაწე დავით ზურაბიშვილი და სწორედ რომ გენიალური იდეა მოგვაწოდა, რასაც უთუოდ გაითვალისწინებს (გაითვალისწინებს კი არა ფოცხვერივით ჩააფრინდება) ჭკვიან სიტყვას ისედაც დანატრებული ოპოზიცია. ჩვენო, არჩევნებში ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ რომ დავამარცხოთ, ძლიერი, მუშტად შეკრული ოპოზიცია უნდა შევქმნათო, ეს არის წარმატების თავი და ბოლოო.

აგაშენა ღმერთმა, დავით! ოღონდ იმის თქმა დაგავიწყდა, ეს ძლიერი, ერთ მუშტად შეკრული ოპოზიცია როგორ უნდა შექმნათ?! მაგრამ ისედაც მისახვედრია, რომ არაფერიც არ დაგვიწყებია. შენ და შენს თანამოძმე სტრატეგოსებს უბრალოდ არა გაქვთ პასუხი ამ კითხვაზე, თორემ აქამდე „შეკრავდით იმ მუშტს“. ეს უბრალოდ ძველი ხერხია.

გასახსენებლად: ასეთი ურამოწოდებები არ ახალია. ასე, ოციოდ წლის წინანდელი ერთი მათგანი სწორედ ახლა გამახსენდა.

„როგორ დავიბრუნოთ დაკარგული მიწები, როგორ აღვიდგინოთ დაკარგული ავტორიტეტი მეზობლებში?“ ჰკითხა კორესპონდენტმა ფიქრია ჩიხრაძეს, მაშინ შედარებით ცნობილ პარტიულ მოღვაწეს. პასუხი სწრაფი და გენიალური იყო, ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში: „ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი არმია!“

როგორია? ამ თითქოს არაფრით გამორჩეულმა ახალგაზრდა ქალბატონმა ასე უმალ გამოკვეთა გამარჯვების გზა. ოღონდ, ის ვეღარ თქვა, როგორ უნდა შეგვექმნა ეს ძლიერი არმია. ანკი როგორ იტყოდა!

ამრიგად, ოპოზიცია არჩევნებისთვის, თუ სიმართლეს ვიტყვით, გამარჯვებისთვის ემზადება. თან გზადაგზა სტრატეგიას და ტაქტიკას ხვეწს, ამუშავებს, ვარცხნის, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ საბოლოო პროგრამა ჯერაც არ არის შექმნილი.

„ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია და ჩვენ, ქართველი ხალხი, თქვენ, „რუსულ ქოცობას“ მაგ ბანდიტურ სახეს აგახევთ“, იმუქრება დეპუტატი კახა ოქრიაშვილი.

როგორც ხედავთ, ოპოზიცია მუშტებზე იყურება. ეს ხომ არ არის პროგრამა X-ის მთავარი მიმართულება? ოღონდ, ეს კია-მუქარა სასოწარკვეთის გამოძახილია!..

ალეკო ასლანიშვილი

ის, რომ ოპოზიციის ნაწილი ხელს უშლიდა სტატუსის მიღების პროცესს, ევროპას „დანოსებით“ ავსებდა, საქართველო სტატუსს არ იმსახურებსო, დიდი ხანია, ცნობილი იყო. სულ ღერა-ღერა ვიცოდით სამშობლოს მოძულე „პატრიოტები“, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები აქამდე არ ჩანდა. გამოჩნდა!

თუ ზურაბიშვილი დაბადებიდანვე ავადმყოფ მიშას შეიწყალებს, ის პოლიტიკურ უფსკრულში გადაიჩეხება!

შესაძლოა თუ არა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღოს და პოზიცია „არა და არასდროს“ შეცვალოს? – ხელისუფლება პრეზიდენტისგან ამ ნაბიჯის გადადგმას არ გამორიცხავს.

შალვა პაპუაშვილი: სამწუხაროდ, სალომე ზურაბიშვილმა ქართველი ხალხის წინაშე არათუ პირობები დაარღვია, არამედ კონსტიტუცია. ამიტომ, რთულია პროგნოზირება, როგორ მოიქცევა, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება, რომ ეს ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის, მართლმსაჯულების ინტერესს.

პოლიტიკურ დღის წესრიგში მიხეილ სააკაშვილის შეწყალების მოთხოვნა კვლავ აქტიურდება. ოთხი თვის წინ სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალებული **ნიკა გვარამია** სახელმწიფოს მეთაურს მიმართავს, რომ ანალოგიური გადაწყვეტილება ყოფილი პრეზიდენტის მიმართაც მიიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ კლინიკის ექიმები და სახალხო დამცველის აპარატიც ექს-პრეზიდენტის ჯანმრთელობის დადებით დინამიკაზე საუბრობს და თავად პატიმარიც ბოლო პერიოდში პოლიტიკურად გააქტიურებულია, შეწყალების მოთხოვნის ერთ-ერთ არგუმენტად ჯანმრთელობის მდგომარეობა სახელდება. გვარამიას მიმართვას იზიარებს ოპოზიციის ნაწილიც. „არა და არასდროს“ – ახლა საინტერესოა, შეცვლის თუ არა არაერთხელ ხაზგასმულ ამ პოზიციას თავად პრეზიდენტი.

თუმცა ისიც რეალობაა, რომ ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც, კლინიკაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი თავისუფლებას დიდი ხნით მაინც ვერ მოიპოვებს, რადგან მის წინააღმდეგ აღძრული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმიდან განაჩენი მხოლოდ ორ საქმეზეა გამოტანილი.

„სამწუხაროდ, სალომე ზურაბიშვილმა ქართველი ხალხის წინაშე არათუ პირობები დაარღვია, არამედ კონსტიტუცია. ამიტომ, რთულია პროგნოზირება, როგორ მოიქცევა, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება, რომ ეს ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის, მართლმსაჯულების ინტერესს“, – ამბობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**.

„მიხეილ სააკაშვილის შეწყალება იქნებოდა დაცინვა არა მხოლოდ უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის მსხვერპლებისა, რასთან დაკავშირებულ დანაშაულებზეც უკვე მსჯავრდებულია, არამედ მისი სისტემის ყველა მსხვერპლის. სალომე ზურაბიშვილს თუ სურს, ქართველი ხალხის წინაშე კონსტიტუციის დარღვევას დაუმატოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა დაცინვა, მაშინ შეუძლია, შეიწყალოს. იმედია, ამ მძიმე ნაბიჯს არ გადადგამს“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა**.

ანალიტიკოსი **გია აგაშიძე** ამბობს, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი არაადეკვატური გადაწყვეტილებების ფონზე, არ არის გამორიცხული, რომ მან მიხეილ სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილებაც მიიღოს. თუმცა ეს მას პოლიტიკურად ყველაზე მეტად დააზიანებს. აგაშიძე მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილი თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ ის პირდაპირ აღიარებს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი დღის წესრიგის შესაბამისად მოქმედებდა.

„არ ვიცი, ზურაბიშვილს, ალბათ, პოლიტიკური განსჯის უნარი რაღაცა მაინც დარჩა, რადგან მიხეილ სააკაშვილის შეწყალება ყველაზე მეტად მას დააზიანებს. საქმე ისაა, რომ სამართლებრივად სხვა საქმეებზე სააკაშვილის სასამართლო პროცესები დასრულებული არ არის და მისი უკან, ციხეში შებრუნება მოსამართლეს თავისუფლად შეუძლია. შესაბამისად, რამდენიმე საათით მისი გათავისუფლება ან რამდენიმე დღით, რა ხელს აძლევს ზურაბიშვილს ნამდვილად არ ვიცი. შესაძლოა, პოლიტიკური პროცესების დაძაბვისთვის ეს გააკეთოს და ამით ხელისუფლებას რაღაც სამაგიერო გადაუხადოს.

თუმცა, ის ბოლო დროს ჯიბრში უდგას არა „ოცნებას“, არამედ იმ ამომრჩეველს, რომელმაც ის პრეზიდენტი გახადა. ამიტომ მისი ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური ხარაკირის ტოლფასი იქნება და შეუერთდება ისეთი ნულოვანი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსებს, როგორებიც ელენე ხოშტარია, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი გახარია, და სხვები არიან. ამიტომ ვის უფრო აწყობს სააკაშვილის არშეწყალება, მე მგონი კარგად უნდა ხვდებოდეს. ეს ყველაზე მეტად თავად ზურაბიშვილს არ უნდა უნდოდეს“, – ამბობს **აგაშიძე**.

რაც შეეხება იმ ფაქტს, აიღო თუ არა პრეზიდენტმა დროებით ტაიმ-აუტი კანდიდატის სტატუსზე პასუხამდე, აგაშიძე ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, ის უფრო აქტიური დეკემბრის შემდეგ გახდება და ამ პროცესის დასრულებას ელის. ამიტომ ის არ გამორიცხავს, რომ ზურაბიშვილმა პოლიტიკური მიზნების კიდევ უფრო გასამყარებლად სააკაშვილი შეიწყალოს. ასევე ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღოს, ან კიდევ პრეზიდენტის რანგში ღიად, რომელიმე პოლიტიკურ აქტორს მხარი დაუჭიროს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** კი ფიქრობს, რომ ზურაბიშვილმა სააკაშვილი რომც შეიწყალოს, ის დიდი ხანი გარეთ ვერ დარჩება. მის მიმართ დაწყებულია სხვა საქმეები, რომელზეც ჯერ განაჩენი დამდგარი არ არის და მას უკან ციხეში დაბრუნება ემუქრება. ამიტომ ანჯაფარიძე ვერ ხვდება, რაში შეიძლება ასეთი ნაბიჯის გადადგმა სალომე ზურაბიშვილს სჭირდებოდეს.

„პოლიტიკურად ზურაბიშვილს ეს გადაწყვეტილება უფრო დააზარალებს, ვიდრე სარგებელს მოუტანს. ის ისედაც დაზარალებულია იმპიჩმენტის შემდეგ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით ზურაბიშვილმა რამე მოიგო, ძალიან ცდება. ყველამ კარგად დაინახა, რომ მან რადიკალური ოპოზიციის ხმების ხარჯზე მოახერხა თანამდებობის შენარჩუნება. მას თუ ამის გამო სააკაშვილის შეწყალებას მოსთხოვენ, არ ვიცი, თუმცა ამით ნაციონალების ამომრჩეველს მაინც რომ ვერ მიიმხრობს, ფაქტია.

მაშინ ზურაბიშვილი ნაციონალების ლიდერი უნდა გახდეს, რაც გამორიცხულია. ეს მისი მხრიდან პოლიტიკურ უფსკრულში გადაჩეხვაა. ზურაბიშვილი ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ის ამ ნაბიჯს არ გადადგამს. რომც დავუშვათ სააკაშვილი გარეთ გამოვიდეს, ამის შემდეგ რა ხდება? როგორც უკრაინის მოქალაქეს, შეუძლია ხელისფლებამ პირდაპირ დეპორტაცია გაუკეთოს, ხოლო როგორც პერსონა ნონ გრატას, საერთოდ, საქართველოში შემოსვლაც კი აუკრძალონ. ვფიქრობ, პოლიტიკურად აქტიური და გარეთ მყოფი მიხეილ სააკაშვილი „ოცნებას“ თუნდაც წინასაარჩევნოდ, არ სჭირდება“...

ლიკა ბერიკაშვილი

მთავარი შეკითხვა:

ამ სოლიდური მატებით ლარი გაუფასურდება თუ პარლამენტი?!

მომდევნო მოწვევის პარლამენტში ხელფასების მატება წელიწადში ხარჯს 68 მილიონი ლარით გაზრდის!

... დიახ მომდევნო მოწვევის პარლამენტის წევრებისა და თანამდებობის პირების ხელფასების ზრდა, ხარჯვით ნაწილს წელიწადში ხარჯს 68 მილიონი ლარით გაზრდის.

რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებით, დეპუტატების ხელფასი ასე გადანაწილდება:

პარლამენტის თავმჯდომარე – 10 000 ლარი – (იზრდება 3 260 ლარით),

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 9 500 ლარი (იზრდება 3 100 ლარით),

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – 9 250 ლარი (იზრდება 2 910 ლარით),

კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე – 9 000 ლარი (იზრდება 3 460 ლარით),

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ფრაქციის თავმჯდომარის პირველი, მოადგილე – 8 750 ლარი (იზრდება 3 950 ლარით),

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე – 8 500 ლარი (იზრდება 3 760 ლარით),

პარლამენტის წევრი, რომელიც არ არის პარლამენტის თანამდებობის პირი, – 8 250 ლარი – (იზრდება 3 626 ლარით).

რეგლამენტის პროექტის მიხედვით, **5 000 ლარის ოდენობით იზრდება დახმარების ოდენობა პარლამენტის წევრის გარდაცვალებისას ან მისი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას.**

კერძოდ, რეგლამენტში ცვლილებების პროექტის გათვალისწინებით, თავდასხმის შედეგად პარლამენტის წევრის გარდაცვალებისას **გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 20 000 ლარის ოდენობით. პარლამენტის წევრის გარდაცვალებისას, გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. პარლამენტის წევრს, რომელიც უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში აღიარებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად, ეძლევა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.**

ფიქრები ოჯახის რაობაზე...

თემამ, რომელსაც ახლა მე მინდა შევეხო , რატომღაც რამდენიმე ათეული წლის წინანდელი ამბავი გამახსენა, ჩემი პატარა ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ერთ მშვენიერ დღეს, მეხივით გავარდა მერვე კლასელი, 15 წლის გოგონას ფეხმძიმობის ამბავი. ისიც მახსოვს, ამ ამბით შეძრწუნებულ ბავშვებს ბიოლოგიის მასწავლებელმა როგორი საუბარი ჩაგვიტარა, ქალის ანატომიური სურათი დაგვიხატა და თან მიგვანიშნა, თუ რაოდენ სიფრთხილე და თავშეკავება გვმართებს გოგონებს ჩვენს მიერ არჩეულ ვაჟებთან მეტისმეტი სიახლოვისასო... სულ სხვა დრო იყო, სირცხვილ-ნამუსისა და ტრადიციების შენახვის, დაცვისა და პატივისცემის დრო. გათხოვებას და ცოლის შერთვას ოჯახში ფსიქოლოგიური დაძაბულობაც შემოჰქონდა, მაგრამ ამავე დროს ახალი ოჯახის შექმნას, რაღაც საზეიმო-საკრარული ხიბლიც ახლდა.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ტელეარხზე, კორესპონდენტს, საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და ასაკის წარმომადგენლებთან საუბარი ჰქონდა დაქორწინების შესახებ. როდის იყო დაქორწინება სასურველი, უნდა ჰქონდეს თუ არა ადამიანს პარტნიორთან წინასწარი ცხოვრების გამოცდილება, – ჯერ მეგობრობა, ხასიათის გამოცნობა, თუ დაოჯახების ტრადიციული ფორმა და ჰიგიენური სისუფთავე? – აი ასეთი კითხვები დასვა კორესპონდენტმა. უნდა გითხრათ, რომ ერთგვაროვანი არ იყო შეკრებილთა პასუხები და მოსაზრებები, ზოგი ტრადიციულს ემხრობოდა (მცირედი ნაწილი!) უმეტესობა კი წინასწარი თანაცხოვრების შემდეგ დაქორწინებას ურჩევდა დაოჯახების მსურველებს.

დაქორწინება ანუ ოჯახის შექმნა ადამიანების ვალდებულებაა და ამ აქტს – ოჯახის შექმნას, დიდი ხნის ისტორია აქვს. ის ცივილიზებული სამყაროს შემოქმედებაა... დღეს ყველამ ვიცით, რა არის და რას ნიშნავს ოჯახი, რომ ოჯახი ის უჯრედია, რომელიც სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნასთან არის დაკავშირებული. ძლიერი და ჯანსაღი ოჯახების კრებული ფუნდამენტია სახელმწიფოსი! მაგრამ, საკითხავია, რის საფუძველზე იქმნება ოჯახი? ორი სუბიექტის – ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობაზეო – ვიტყვით ალბათ, და სწორიც ვიქნებით. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენს არჩეულ თემაზე რომ გადავიდეთ, ამ ორ სუბიექტს რა აიძულებთ, რომ შექმნან ოჯახი. ამ დიდ და თითქმის პოლიტიკურ პროცესს უნდა ჰქონდეს თუ არა მოტივაცია, პირადი ცხოვრების ნებაყოფლობით შექმნის სურვილი? რა თქმა უნდაო, დაუფიქრებლად ვიტყვით და იმასაც მივაყოლებთ, რომ ეს მოტივაცია – სიყვარულია. დიახ, ასე ვფიქრობთ ადამიანები, ქალ-ვაჟის სიყვარული არის საუკეთესო მიგნება თუ მონაპოვარი ოჯახის შესაქმნელად, მაგრამ, განა მარტო სიყვარული?

რა არის სიყვარული? ურთულესი თემაა! ამავე დროს, იმას თამამად ვიტყვი, რომ სიყვარული არის ნიჭიც და არის იღბალიც. სიყვარული, როგორც ხატვა , როგორც ლექსის წერა და სხვა რამ ნიჭიერება და ტალანტი – იშვიათობაა და თითოეულ ჩვენგანში თავისთავად როდი სუფევს. ამ უცნაურ გრძნობას არც დრო აქვს და არც ასაკი... მოდით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, „რა არის სიყვარული?“ – ეს თემა, გამოცდილ ადამიანებთან ერთად ფსიქოლოგებს, სექსოლოგებს, ქალისა და მამაკაცის ბუნების მკვლევარებს მივანდოთ და ჩვენ კი ის ვთქვათ, რაც ცხოვრებამ გვასწავლა (თუ გვასწავლა, რა თქმა უნდა!)...

იმ სატელევიზიო რეპორტაჟში, რომელმაც ოჯახის შექმნის მოსურნეებზე აზრები გამიჩინა, წერილის დაწერისკენ მიბიძგა, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ მყარი ოჯახის შექმნის მსურველმა, პარტნიორის ხასიათისა და თვისებების შესასწავლად, მასთან, ქორწინების გაფორმებამდე, რამდენიმე ხანი უნდა იცხოვროს და ასეთი გამოცდის შემდეგ გადაწყვიტოს ოჯახის შექმნაო. კარგი, მოვიქცეთ ასე და მერე რა ვქნათ, თუ პარტნიორმა გვიმტყუნა, ჩვენი წარმოდგენებისაგან სულ სხვა პიროვნება აღმოჩნდა? ვერ შევეგუეთ მას და უნდა დავშორდეთ, სხვა გზა არა გვაქვს. დრო კი მიდის და რა უნდა ვქნათ, ხელი ავიღოთ და არ ვიფიქროთ ოჯახის შექმნაზე, თუ გავაგრძელოთ ახალი პარტნიორის ძებნა და ვაი თუ იმანაც გვიმტყუნა, მაშინ? სხვა ვეძებოთ და ის სხვაც „გამოვცადოთ“? რაღაც აბსურდის თეატრამდე მივდივართ!

„მომეც მიჯნურთა სიმტკიცე, სიკვდიმდე გასატანისა!“ ნეტა, რატომ ამბობს ამას რუსთველი? მიჯნურთა სიმტკიცეო! – გესმით, მეგობრებო, – იმ დროს სხვანაირად ვერ იტყოდა გენიოსი რუსთველი. დღეს სხვა დროა, მიჯნურთა სიმტკიცის თავდები პასუხისმგებლობაა და ცოდნა იმისა, რომ ოჯახს ერთმანეთის გამოსაცდელად კი არ ვქმნით, არამედ დიდ ტვირთს და პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე მშობლების, ახლო ნათესავების, მომავალი ბავშვების, სოციუმისა და გნებავთ, სახელმწიფოს წინაშე, და არა მხოლოდ! – ოჯახის სიმტკიცე ჩვენს სინდისზეა დამოკიდებული.

ოჯახი! – ამ მრავლისმომცველ შინაარსის მქონე შენობის შესანარჩუნებლად და გასამაგრებლად პასუხისმგებლობა, ერთგულება, შრომა და ზრუნვა თუ არ არის, მაშინ წყალში ჩაგვეყრება ყველაფერი. ერთმანეთის გამოცდა კი სასაცილო კი არა, ამორალურია!

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, არ ვიცი დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, ახლა რომ უნარ-ჩვევებს ვასწავლით სკოლებში აღსაზრდელებს, არ ვიცი, ეს რამდენად შესაძლებელია, და თუ შესაძლებელია, ვასწავლოთ მოზარდებს სიყვარული, ერთგულება, ურთიერთპატივისცემა, შრომა და, რაც მთავარია – პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულებისა და მოვალეობისადმი. მართალია, ყველა როდი შეითვისებს ამ დიდებულ ღირებულებებს, მაგრამ ერთეულები (ათეულებიც!) გამოჩნდებიან. იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, თუმცა ერთი რამ მუდამ უნდა გვახსოვდეს – ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ ოჯახის რაობა! დღეს კი, ამ მხრივ, კარგი ამბები არ ხდება საქართველოში. ცხოვრებისეული პრობლემების მოუგვარებლობის გამო, ახალგაზრდები საზღვარგარეთ გარბიან. ვის ახსოვს ოჯახი, მისი შექმნა, ან ახსოვთ და აი სწორედ, ამიტომაც მიეშურებიან იქ მატერიალური დოვლათის მოსაპოვებლად. ეს კი იციან, რომ მხოლოდ მაღალი ღირებულებებით, დღევანდელ დღეს, ოჯახი ვერ შეიქმნება.

რაც მთავარია, ეს ცოდნა აკლია მთავრობას.

უამრავი თემა წამოიჭრა ჩემს წინაშე. ძვირფასო მკითხველო, ნეტავ იმ დღეს მოვესწრებოდეთ, რომ ჩვენი დემოგრაფიული საკითხებით, ოჯახისა და მისი შექმნის პრობლემებით მხოლოდ მე და ჩემისთანა მოქალაქეები კი არა, მთავრობა შეწუხდებოდეს! ახლა მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობ: როდის და რომელი მთავრობა დაინახავს და მიხედავს ჩვენი ქვეყნის ამ გადაუდებელ საკითხებს?!

საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული უკუსვლა დღეს არსებულ პრობლემათა შორის უპირველესი და უმთავრესია!

გულნარა სტურუა

გრიპი ისევ გვიტევს! ▶ სეზონური ვირუსები - რა უნდა ვიცოდეთ მათზე?

შესანატრი თბილი ოქტომბრის მიუხედავად, რესპირატორული ვირუსებით ინფიცირების შემთხვევები სულ უფრო მატულობს. სწორედ ამიტომ, ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ვირუსებია გავრცელებული, როგორია მისი მკურნალობისა და პრევენციის გზები და როდის არის საჭირო ექიმთან ვიზიტი. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ თოდუას კლინიკის თერაპევტს, მაპა ღუჭაშვილს მივმართეთ.

* * *

– ქალბატონო მაპა, რა ტიპის ვირუსები აქტიურდება წელიწადის ცივ სეზონზე?

გვიანი შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე აქტიურდება ვირუსები, რომლებიც უმეტესად სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის დაზიანებასა და მწვავე რესპირატორულ ინფექციებს იწვევს. ყველაზე ხშირია რინოვირუსით გამოწვეული ინფექცია, რომელსაც პოპულარულ ენაზე გაციებასაც ვუწოდებთ. ის უმეტესად მსუბუქად მიმდინარეობს და ავადობის პერიოდიც, სხვა ვირუსულ ინფექციებთან შედარებით, ხანმოკლეა. ასევე, ამ პერიოდში აქტიურდება ადენოვირუსული და ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციები, პარაგრიპი და გრიპი. მათგან ყველაზე რთული მიმდინარეობა გრიპის ვირუსს ახასიათებს, უფრო დიდხანსაც გრძელდება და გართულების მეტი რისკიც ახლავს.

– რა სიმპტომატიკა ახასიათებს რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებს?

– ამ ტიპის ინფექციები მსგავსი სიმპტომებით ვლინდება. როგორც წესი, ნიშნები ინფიცირებიდან დაახლოებით 1-3 დღეში იჩენს ხოლმე თავს. ესენია, სურდო, ხველა, ცემინება, ყელის ტკივილი, ცრემლდენა, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა და სისუსტე. გრიპის შემთხვევაში, ეს სიმპტომატიკა უფრო მწვავედ არის გამოხატული. ასევე, მას შესაძლოა სტანდარტულის გარდა, სხვა ჩივილებიც დაერთოს.

– როგორ უნდა ვუმკურნალოთ ვირუსულ ინფექციებს და როდის არის აუცილებელი ექიმთან ვიზიტი?

– მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების მკურნალობის დროს აუცილებელია ბევრი სითხის, ასევე, ცილოვანი და კალორიული საკვების მიღება. პაციენტს შეუძლია გამოიყენოს მსუბუქი პრეპარატები ჩივილების შესამსუბუქებლად და სიცხის დამწევი საშუალებები, თუ ტემპერატურა 38C-ზე მაღალია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ცხელება ორგანიზმის ერთგვარი დამცველობითი რეაქციაა, რომელიც ვირუსების გამრავლებას ებრძვის. ამიტომ ჩვენი რეკომენდაციაა სიცხის დამწევი მედიკამენტი არ მიიღოთ იმ შემთხვევაში, თუ სიცხე 38C ან მასზე ნაკლებია. დაუშვებელია ანტიბიოტიკის მოხმარებაც, რადგან ვირუსით გამოწვეული ინფექციის დროს ის არაეფექტურია. ამასთან ერთად, აქვეითებს იმუნური სისტემის ბრძოლისუნარიანობას. ანტიბიოტიკი შესაძლოა მაქტერიით



გამოწვეული ინფექციების დროს დაინიშნოს, ისიც სპეციალისტის მიერ.

რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს ექიმთან ვიზიტი საჭიროა მაშინ, როდესაც მაღალი ტემპერატურა 4 დღეზე მეტხანს გრძელდება. ასევე, თუ სიმპტომებს ერთვის სუნთქვის უკმარისობა, ქოშინი, ტკივილი სახის არეში, თავბრუსხვევა, ღებინება, ფაღარათი, შეტევითი ხასიათის ხველა, სისხლიანი ნახველი. ექიმის მეთვალყურეობა სჭირდება ასევე წლამდე ასაკის ბავშვებს, სუსტი იმუნიტეტისა და ქრონიკული დაავადების მატარებელ პირებს.

– რა იწვევს მათ გააქტიურებას ზამთარში? როგორია მათი პრევენცია?

– როგორც მოგეხსენებათ, რესპირატორული ვირუსები უმეტესად ჰაერწვეთოვანი გზით გადადის, დაინფიცირებულ ადამიანთან ახლო კონტაქტის დროს. მათი გავრცელება უფრო მარტივი ხდება ცივ სეზონზე, რადგან დახურულ სივრცეში მეტ დროს ვატარებთ და ნაკლებად ნიავდება შენობები. ამასთან ერთად, ტემპერატურის ვარდნასთან ერთად ხდება ორგანიზმის გადაცივება, რაც დაინფიცირების რისკებსაც ზრდის.

რაც შეეხება პრევენციას, უპირველესი არის მოვერიდოთ დაინფიცირებულ ადამიანს და მინიმალური კონტაქტი გვქონდეს მასთან. ასევე, უნდა გამოვიყენოთ პირბადე. ვირუსის გადადება ხშირია პირველადი მოხმარების საგნებიდან, სხვადასხვა სახის ზედაპირიდან და ა.შ. ამიტომ აუცილებელია ხელების ხშირი დაბანა და ჰიგიენური ნორმების დაცვა. ამასთან ერთად, რესპირატორული ვირუსული ინფექციების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი იმუნიტეტი, რაც კარგი კვებით, ცილოვანი და კალორიული საკვების მიღებით ყალიბდება. რაც შეეხება გრიპს, მისი პრევენციის ეფექტური გზა ვაქცინაციაა.

– ვის სჭირდება ყველაზე მეტად ვაქცინაცია და როდის უნდა ჩავიტაროთ ის?

– გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია განსაკუთრებით სჭირდებათ რისკ-ჯგუფში შემავალ ადამიანებს – ბავშვებს, სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემებისა და ქრონიკული დაავადებების მატარებელ პირებს. რაც შეეხება ვაქცინაციის პერიოდს, სასურველია, აცრა გვიან შემოდგომაზე გაკეთდეს, რადგან ზამთარში, როდესაც ვირუსული ინფექციები კიდევ უფრო გააქტიურდება, ორგანიზმი მათ მზად დახვდეს.

საპატიო თბილისელობა - ღირსებაც, მოვალეობაც!

ევა ბაბალაშვილი:

ჯამლეტი გრძნობდა, რომ მე საპატიო თბილისელი უნდა გავმხდარიყავი და მისი საქმე უნდა გამეგრძელებინა

1979 წლის 21 დეკემბერს თბილისის საკრებულომ დებულება მიიღო თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების შესახებ. მას შემდეგ უამრავი საპატიო თბილისელი დაჯილდოვდა ამ ტიტულით, მაგრამ წლევანდელთა საპატიო სიაში ერთი გამორჩეული ქალბატონი მოხვდა, რომელსაც თბილისში ყველა იცნობს, როგორც განსაკუთრებით კეთილშობილ და თავმდაბალ ადამიანს. ეს გახლავთ მწერალი და მხატვარი, მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია „ესთას“ პრეზიდენტი, რადიო „ჯაკოს“ საავტორო გადაცემის „წახნაგების“ დამფუძნებელი და წამყვანი, თბილისის საკრებულოს წევრი, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ომბუდსმენის აპარატში, ქალბატონი ევა ბაბალაშვილი.

ქალბატონი ევა საყოველთაოდ ცნობილი ქართველი ებრაელის, თბილისის კოლორიტის, პროფესიონალი ტელეწამყვანის, ასევე თბილისის საპატიო მოქალაქის, აწ გარდაცვლილი, ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილის მეუღლე გახლავთ. ჩვენი საზოგადოების ამ ორ ღირსეულ წევრს ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ გაკეთებული ერთად, ამიტომაც, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ევა ბაბალაშვილზე და იქვე პატივით არ მოვიგონოთ ჯამლეტ ხუხაშვილი.

დღეს ევა ბაბალაშვილი ჩვენი სტუმარია.

– ალგათ, იცით, ჯამლეტი როგორი მოყვარული იყო საქართველოსი, ასეთი პატრიოტული დამოკიდებულება ჰქონდეს საქართველოსადმი ებრაელს კი არა ქართველსაც კი, იშვიათია.

ჩვენ გვაქვს და ყოველთვის გვქონდა ორი სამშობლო – საქართველო და ისრაელი. ამ ორ სამშობლოს არასდროს ვარჩევდით ერთმანეთისგან და მეც მიჭირს ახლა ვთქვა, რომელი უფრო ახლობელია და რომელი უფრო მიყვარს. ისრაელს როცა ვსტუმრობ, საქართველო მენატრება, საქართველოში რომ ვარ – ისრაელი. ჩემი ვაჟი საქართველოში ცხოვრობს, ქალიშვილი – ისრაელში. ყველა მათგანს, შვილებს, შვილიშვილებს, საქართველო სამშობლოდ მიაჩნიათ. საქართველოს და თბილისს გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. თბილისში ამეხილა თვალი, აქ დავდიოდი საბავშვო ბაღში, ვსწავლობდი ქართულ სკოლაში, დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

* * *

– მე და ჯამლეტი სოლოლაკში ერთ ეზოში ვცხოვრობდით, იტალიურ ეზოს რომ ეძახიან, ისეთ გარემოში. ჩვენს გვერდით სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის ადამიანი ერთად ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთს არ გამოვარჩევდით ერთმანეთისგან, არც ვიცოდით და არც ვკითხულობდით, ვინ რა ეროვნების და აღმსარებლობის იყო, უბრალოდ, ერთად ვიზრდებოდით და ერთმანეთი გვიყვარდა. თბილისური უბნები, თბილისური ქუჩები, თითქმის ერთ ოჯახად ქცეული ეზოები განსაკუთრებულია, არსად მსოფლიოში, ალბათ, ასე არ არის. ზემოთ ვთქვი, არც ერთი ეროვნების ადამიანს არ ვარჩევდით-შეთქი, ეს საქართველოსთვის დამახასიათებელია, ეს ქართული ხასიათია, აქ თითქოს უცხო არ არის არც ერთი ეროვნების ადამიანი, არც ერთი ერის წარმომადგენელი, ყველა ისეა აღქმული, როგორც ღვთის შვილი და ვინც აქ დასახლდება, ვინც აქ ცხოვრობს, უკვე თბილისელია, საქართველოს, ამ ქვეყნის ნაწილია.

მე ვამაყობ და მიხარია, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ებრაელების დარბევა და შევიწროება.

თბილისში ყოველთვის იყო ძალიან დიდი ადამიანური სითბო და სიყვარული, ერთმანეთის გატანა, არ იყო გარჩევა მდიდრის და ღარიბის. ახლა ცოტათი შეიცვალა თითქოს ყველაფერი. მე და ჯამლეტი ბოლო წლებში განსაკუთრებით ხშირად ვოცნებობდით იმ დროის დაბრუნებაზე, რომელ დროშიც ძველებური ადამიანური ურთიერთობების ჰარმონია სუფევდა.

როგორც ძველმა თბილისმა გვაჩუქა სითბო, ასევე ჩვენც გულში ვიხუტებდით ყოველთვის ჩვენს ქალაქს. მე და ჯამლეტი თითქმის ყველა საღამოს, სამსახურიდან, სანამ სახლში მივიდოდით, ჯერ წრეებს დავუვლიდით თბილისის ქუჩებს, მოვეფერებოდით ჩვენს ქალაქს; გვიხაროდა, თუ დავინახავდით რაიმეს ახალაშენებულს, გვიხაროდა თითოეული ახალდარგული ხე, გვეამაყებოდა ყველა სასიამოვნო სიახლე, რაც გაჩნდებოდა თბილისში და მერე ვბრუნდებოდით სახლში.

– ელოდით „საპატიო თბილისელის“ წოდებით დაჯილდოებას?

– გამოგიტყდებით, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა ამ ჯილდოს მიღება, რადგან მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი გახლავართ 26 წელიწადია, დაუღალავად ვმუშაობთ ორი ერის კავშირების შენარჩუნებაზე, იმ ტრადიციების შენახვა-მოფრთხილებაზე, რაც არსებობდა ჩვენს შორის. მიმაჩნია, რომ თბილისისთვის მეც მაქვს პატარა რაღაც გაკეთებული, ჩემი აზრით, ერთი აგურიც საქმეა, ერთი ტბილი სიტყვაც და ერთი კი არა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე აქვს გაკეთებული ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციას საერთაშორისო მასშტაბით.

მსოფლიოს ებრაელ ქალთა ასოციაცია ემსახურება იმას, რომ მივიწყებული ტრადიციები აღვადგინოთ, ებრაელ და ქართველ ერს შორის ურთიერთობები ძველებურ ხარისხში ავიყვანოთ და კიდევ უფრო გავამდიდროთ, რადგან ეს ურთიერთობები, ჩემი აზრით, იყო და არის განსაკუთრებული. მე ძალიან მომწონს, როცა არქიმანდრიტი, მამა ადამი (ახალაძე) მისალმებისას იტყვის ხოლმე: ქართველი ქართველები მოგესალმებით ქართველ ებრაელებს. ეს ფრაზა ნამდვილად უხდება ჩვენს ურთიერთობას.

– ებრაელები ვახსენეთ და ყველას ტკივილია, რაც ხდება ახლა ისრაელში. თქვენც ალბათ, გაგიუფერულათ „საპატიო თბილისელის“ წოდებით გამოწვეული სიხარული იმ მოვლენებმა, რაც ხდება ღაზაში.

– მძიმე ვითარებაა ისრაელში, მთელი მსოფლიო აღშფოთებულია იმით, რომ ასე სასტიკად შეიჭრნენ ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელი არაბები. რაც ჩაიდინეს, მოეკითხებათ. მე არ ვიტყვი, რომ ეს არის ომი კლასიკური გაგებით, არა, ეს არის არაადამიანების შეტევა, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი საქციელი, რომლისნაირიც არ ახსოვს არავის.

ვისურვებდი, არსად არ განმეორდეს ისეთი საშინელებები, რაც დატრიალდა ისრაელში... ღმერთმა ინებოს, მშვიდობიანად დამთავრდეს ყველაფერი.

– „საპატიო თბილისელის“ ახალ ამპლუაში როგორ მოეფერები ქართველ ხალხს, თბილისელებს?

– მინდა თბილისელებს მივმართო: გაუფრთხილდნენ ამ ულამაზეს ქალაქს, თითოეული ბუჩქი, სკვერი, სკამი, თითოეული ნათურა ქუჩაში არ დავაზიანოთ, სიმწვანე გავამრავლოთ, ადამიანებმა ერთმანეთს პატივი ვცეთ, დაძაბული ვითარებაა, მაგრამ ვეცადოთ, არ ვიყოთ ერთმანეთისადმი ექსტრემისტულად განწყობილი.

– ქალბატონო ევა, თქვენთვის საპატიო თბილისელობა წოდებაა თუ მოვალეობა და რაიმე საინტერესო გეგმები ხომ არ აქვს თქვენს ორგანიზაციას თბილისთან დაკავშირებით?

– საპატიო თბილისელობა ჩემთვის არის მოვალეობაც, წოდებაც და ღირსებაც. ვაპირებ, უფრო მეტი ყურადღება მივაქციო გარემოს. ბევრი სტუმარი ჩამოდის თბილისში. ჩვენს უბანში, სოლოლაკში დადის თითქმის ყველა უცხოელი ვიზიტორი. მინდა ამ სტუმრებს მოვეფერო და ვუთხრა, რომ საქართველოსნაირ ქვეყანას ვერსად ვერ ნახავენ ხშირად გვესტუმრონ და ნახონ ჩვენი მასპინძლობის ეშხი და გემო.

– თქვენი აზრით, რას გეტყოდათ ბატონი ჯამლეტი, რომ იცოდეს, თქვენც მასავით საპატიო თბილისელი რომ გახდით?

– ჯამლეტმა იცოდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო, ელოდებოდა ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. ის ელოდებოდა ამ დღეს, რადგან გრძნობდა, რომ მე უნდა გამეგრძელებინა მის მიერ დაწყებული საქმე და ასეც ვაპირებ. მე ჯამლეტის პატრიოტობით და ენთუზიაზმით ჩემს თბილისს უნდა ვემსახურო.

ესაუბრა

ირანდა კალანდაძე

თბილისში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩა და სკვერი გაიხსნა

ფასდაუდებელი ღვაწლი და უკვდავება

დიდი მართვე-მაესტროსი...

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივითა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში მუსიკოსის, ფოლკლორისტისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩა და სკვერი გაიხსნა.

გახსნის ცერემონიალს საქართველოს მთავრობის, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, დედაქალაქის საკრებულოს წევრები, ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, აგრეთვე ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა მიმართეს.

როგორც გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია.

„დღეს ამ ქუჩასა და სკვერს, სადაც ახლა ვიმყოფებით, ქართველი ფოლკლორისტის, ანსამბლ „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებლის – ანზორ ერქომაიშვილის სახელი ეწოდა. ჩვენი მოვალეობაა, თაობებს შემოვუნახოთ იმ ადამიანების სახელები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული კულტურის შენახვაში, წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში. ასეთი ადამიანები წერენ ქვეყნის კულტურის ისტორიას და შთაგონებას აძლევენ მომავალ თაობებს“, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ანზორ ერქომაიშვილმა ქართული ხალხური სიმღერა არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აქცია.

„სწორედ ამ სკვერისა და ქუჩის სიახლოვეს არის ფოლკლორის ეროვნული ცენტრი, რომელთანაც პირდაპირი და მრავალწლიანი კავშირი ჰქონდა ბატონ ანზორს. იგი ასევე გახლდათ თბილისის საპატიო მოქალაქე, რაც მისთვის დიდ ჯილდოს ნიშნავდა, თუმცა, უნდა ვთქვათ, თუ რამდენად დიდი ჯილდოა თავად ბატონი ანზორი ჩვენი ქალაქისა და მთელი ქვეყნისთვის. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება არის მცირედი გამოვლინება იმ მადლიერების, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი ყველა ჩვენგანისგან იმსახურებს“, – აღნიშნა ნინო ვარდოსანიძემ.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლები „რუსთავი“ და „მართვე“. დასასრულ, სკვერის აღმნიშვნელი აბრის გახსნის ცერემონიალი გაიმართა.

მშვიდობა უკრაინას, წმინდა მიწას და მთელ მსოფლიოს!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის განჩინება

საპატრიარქო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის განჩინებას აქვეყნებს.

როგორც განჩინებაშია აღნიშნული, 2 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

„სხდომამ გახსნა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. მან მოკლედ დაახასიათა მსოფლიოსა და საქართველოში არსებული მდგომარეობა; აღნიშნა რა, რომ საერთაშორისო სივრცეშიც და კონკრეტულ რეგიონებშიც ვითარება არის ძალიან რთული და საშიში და, რომ ამ ფონზე საქართველოს ზრუნვა მშვიდობის შენარჩუნებისათვის მისასალმებელია, რაც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

შემდეგ მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ განსახილველი საკითხების წარსადგენად სიტყვა გადასცა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი).

მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) პირველ საკითხად განავრცო მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის მიერ შემოთავაზებული თემა და ისაუბრა უკრაინასა და წმინდა მიწაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების შესახებ.

წმინდა სინოდის საერთო პოზიცია ასე ჩამოყალიბდა:

1. უკრაინაში რუსეთის მიერ საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გაავრცელა მიმართვა კონფლიქტის დაუყოვნებლივი შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, რაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტად მძიმე შედეგებს მოიტანდა.

დღეს კი, როდესაც ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იღებს, ნათელია, რომ იქმნება გლობალურად ფეთქებადსაშიში გარემო, რაც მთელ მსოფლიოს დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს.

უკრაინასა და ღაზის სექტორში წარმოებული ომების შედეგად უკვე დიდია მსხვერპლი. ჯარისკაცებთან ერთად იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, ბავშვები და მოხუცები, ნადგურდება ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი, რელიგიური თუ სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები; ზოგადად, ადგილი აქვს რელიგიური ნიშნით ძალადობასაც.

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობას ომის შედეგად დაზარალებულთა მიმართ. ტერორი, სისასტიკე, უსამართლობა... ერთმნიშვნელოვნად დასაგმობია და მისი პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერა – ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელი.

ვუერთდებით ყველა კეთილი ნების ადამიანის ლოცვას და შევთხოვთ ღმერთს, მშვიდობა მოანიჭოს უკრაინას, წმინდა მიწას და მთელ მსოფლიოს.

2. მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) წმინდა სინოდს გააცნო საქართველოს ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის მმართველის, ეპისკოპოს საბას (ინწკირველი) წერილი, რომელიც ეხებოდა მასთან, ანუ მმართველ მღვდელმთავართან, შეუთანხმებლად საქართველოს სხვადასხვა ეპარქიიდან სასულიერო პირების გახშირებულ ჩასვლას კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც მის ეპარქიაში გარკვეული სირთულეებს ქმნის.

წმინდა სინოდმა დაადგინა:

მხედველობაში იქნეს მიღებული ეპისკოპოს საბას პოზიცია, რაც გულისხმობს ამგვარ სასულიერო პირთადმი ზომების გამკაცრებას.

3. მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ისაუბრა ნათლობის მსახურების აღსრულებისას ჩვენს ეკლესიაში ბოლო დროს გავრცელებულ არასწორ პრაქტიკაზე) მიმრქმელთა (ნათლიების) გადაჭარბებულ რაოდენობაზე.

წმინდა სინოდმა განაჩინა:

ეკლესიის კანონიკური წესის მიხედვით, მიმრქმელი (ნათლია) უნდა იყოს ერთი; ხოლო ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციით, დასაშვებია, იყოს ორიც (მამაკაცი და ქალი; ასევე კანონიკური ტრადიციითვე, ზრდასრული ადამიანის ნათლობისას ნათლია უნდა იყოს იმავე სქესის). საქართველოში გამონაკლისის სახით ნათლიების რიცხვის სამამდე გაზრდა ნებადართულია მიმრქმელად (ნათლიად) კათოლიკოს-პატრიარქის დადგომის შემთხვევაში.

* * *

4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა მღვდელმთავრებს, გაეკეთებინათ მოკლე ანგარიში მათ ეპარქიებში არსებული ვითარების შესახებ.

წმინდა სინოდმა მოისმინა ნიქოზისა და ცხინვალის და მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) მიმოხილვა ცხინვალისა და ახალგორის დროებით ოკუპირებულ რაიონებში მონაზვნებისა და მღვდელმსახურების მდგომარეობისა და ეკლესია-მონასტრების თაობაზე.

უცხოეთში არსებულ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე ისაუბრა საქართველოს ეკლესიის მელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის ეპისკოპოსმა დოსითემ (მოგვერაძე).

სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა სვიმეონმა (ცაკაშვილი) ყურადღება გაამახვილა პროფესიული განათლებისადმი ზრუნვის საჭიროებაზე.

მარგვეთისა და უბის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) სინოდის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა უბისის მონასტერში არსებულ ვითარებაზე.

საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) ისაუბრა მომლოცველთა ჯგუფების ეპარქიებში ხატებით მსვლელობის პრაქტიკაზე, რასაც საფუძველი 1989 წელს ჩაეყარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და დღეისთვის უკვე გაცილებით ორგანიზებული და მასშტაბური სახე აქვს მიღებული. ითქვა ისიც, რომ ხატებით მოგზაურობა საქართველოს ეკლესიის უცხოეთის სამრევლოებშიც იგეგმება.

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძე) ხაზი გაუსვა იმ დადებით შედეგებს, რაც გამოიღო თრუსოს ხეობაში მონასტრების ამოქმედებამ; კერძოდ, ხელი შეეწყო მომლოცველთა და დამთვალიერებელთა მსვლელობებს და ახალგაზრდული საგანმანათლებლო ბანაკების მოწყობას.

კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღინიშნა, რომ ასეთი პრაქტიკა სხვა ეპარქიებშიც გვაქვს და ეს პროცესი უნდა წახალისდეს, რითაც გამოცოცხლდება მიტოვებული ხეობები და სოფლები.

5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა ისიც, რომ მღვდელმთავრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდებში ღრმა აზროვნებისა და რელიგიური ცოდნის დონის ამაღლებას, ასევე დარგობრივ განათლებას, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ამასთან, მან მოიწონა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) საქართველოს საპატრიარქოში სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისათვის მღვდელმთავრების პერიოდულად მოწვევის პრაქტიკა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მოკლე ანგარიშით მიმართა წმინდა სინოდის წევრებს.

მღვდელმთავრებმა ასევე დამატებით გამოთქვეს მოსაზრებები სოციალურ და დემოგრაფიულ საკითხებზეც.

2 ნოემბერი, 2023 წ.

საუკუნის მშვენებანი – გეგეჭკორი და ურუშაძე...

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მსახიობ გიორგი (გოგი) გეგეჭკორისა და თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის დაბადებიდან მე-100 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი**, გიორგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის ოჯახის წევრები, მეგობრები, თეატრალური და კინოხელოვნების წარმომადგენლები და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

წამყვანმა, თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძემ,** არტისტიზმითა და კოლორიტული აქცენტებით მაყურებელს შთამბეჭდავად უამბო ორი საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკვანძო პერიპეტიები, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს, როგორ შეუღლდნენ და როგორ განვლეს ხანგრძლივი ცხოვრება ერთმანეთის, ოჯახისა და პროფესიის სიყვარულში.

ღონისძიების მთავარი კონცეფცია ეფუძნება სამ

უმთავრეს ღირებულებას – შრომას, პროფესიონალიზმსა და უპირობო სიყვარულს, რომლითაც განმსჭვალული იყო გოგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის თითოეული ნამოღვაწარი, იქნებოდა ეს როლი, სტატია, წიგნი, ფილმი თუ ტელეგადაცემა.

საღამოს, რომლის რეჟისორი **გოჩა კაპანაძეა,** საფუძვლად დაედო ის მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც არსებობს საქართველოს ეროვნულ, სატელევიზიო თუ რადიომაუწყებლობის არქივში; აგრეთვე ნათელა ურუშაძის სტატიები, წიგნები, კვლევები და მონოგრაფიები. საღამოზე გაცოცხლდა ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, რომლებიც შემოინახა ქართული თეატრისა და კინოს, ტელე და რადიო, თუ საოჯახო არქივმა.

საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის მსახიობები.

საიუბილეო საღამოზე წარმოადგინეს ვიდეოკოლაჟი, რომელიც ასახავდა გიორგი გეგეჭკორის კინორეჟისორობასა და ნათელა ურუშაძის მიერ საქართველოს ტელევიზიისთვის შექმნილ თეატრალური პროგრამებისა და შეხვედრების ვიდეოკადრებს.

ებრაული სიმართლე გაიმარჯვებს თუ... ისლამური?!

„უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თავის დროზე შტატები როგორი ხალხის მიერ დაარსდა – პროტესტანტების, კალვინისტების მიერ, რომლებისთვისაც აღთქმული მიწა იდეაფიქსი იყო და დიდი ისრაელის აშენება სურდათ. დღეს ამერიკისთვის

პრინციპული საკითხია ისრაელის დაცვა, მაგრამ ამ პრინციპულ დაცვას რა შედეგები მოჰყვება, როგორ დაირაზმება მთელი ისლამური სამყარო, უკვე ამაზე თავად შტატებშიც ჯანსაღად მოაზროვნე ხალხი ფიქრობს“, – აცხადებს For.ge-სთან საუბრისას პუბლიცისტი დავით ჩხარტიშვილი.

დავით ჩხარტიშვილი:

შესაძლებელია, ზესახელმწიფოებმა მოილაპარაკონ და უომრად გადაინაწილონ ახალი სამყარო!..

– „ჰამასთან“ ომი ნეთანიაჰუმ „ნაცისტების“ წინააღმდეგ ომს შეადარა. როგორ ფიქრობთ, ეს „ნაცისტების“ წინააღმდეგ ომია, თუ ე.წ. პროქსი ომი, როგორც ეს უკრაინაშია, როდესაც ზურგს უკან მდგომი ძალები ერთმანეთთან აომებენ დაპირისპირებულ მხარეებს? სინამდვილეში, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ირანის მიერ ორკესტრირებული პროქსი ომი ხომ არ არის „ჰეზბოლას“ და „ჰამასის“ მონაწილეობით და ხომ არ გადაიზრდება ეს ცივილიზაციათა, ან რელიგიათშორის დაპირისპირებაში?

– ხაზგასმით უგდა გითხრათ, რომ, როგორც ქართველების უმეტესობა, ისტორიული კავშირების გამო, პატივისცემითა და სიმპათიით ვარ განწყობილი ისრაელის სახელმწიფოებრიობისადმი და საუკეთესო მოდელად მიმაჩნია, თუკი საქართველოც ამ ტიპის ქვეყანა იქნება. რაც შეეხება ისრაელ-პალესტინას შორის დაპირისპირებას, აქ სამი ისტორიული ნარატივის შეჯახებაა: ერთია რეალობის ებრაული აღქმა, ანუ თორის მიხედვით, ებრაელებს სჯერათ, რომ ეს მიწა მათია, ვერაფერი გადაარწმუნებს მათ, რომ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და მთლად ასეც არ არის. მეორეა, ისლამური სამყაროს ისტორია, ანუ ყურანის მიხედვით, ეს ისლამისტების მიწაა. მესამეა ე.წ. სეკულარული ნარატივი, რომლის მიხედვითაც, ეს მიწა საერთოა, 1947 წელს დადგინდა, რომ პალესტინა ეკუთვნის არაბულ სამყაროს, ხოლო ისრაელი – ებრაელებს. შემდეგ მოხდა ომი ისრაელსა და პალესტინას შორის და ისრაელი არ აძლევს საშუალებას, პალესტინა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოდ, თვითკმარ ქვეყნად. თუკი ჩვენ საკითხს მივუდგებით იმ რაკურსით, რა საშინელებაც მოხდა ოქტომბერში, როდესაც ებრაელ ბავშვებს თავები მოაჭრეს, ქალები გააუპატიურეს და ათასამდე ებრაელი ამოხოცეს, რა თქმა უნდა, სიმართლე და „კბილი კბილისა წილ“ ებრაელების მხარესაა, მაგრამ ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია, ჩვენ უფრო ღრმად უნდა შევხედოთ მოვლენას და უკანა პლანზეც გავიხედოთ, უნდა დავინახოთ არაბული სამყაროს სიმართლეც.

30-40-იანი წლებია, არაბები ელემენტარული უფლებებისთვის იბრძვიან, ფაქტობრივად, სეგრეგაციული კანონებია მათ მიმართ მიღებული, ასე რომ, ჩემი აზრით, ქართველები სეკულარული მიდგომით უნდა მივუდგეთ ამ კონფლიქტს, ანუ ისლამური სამყაროს სიმართლეც დავინახოთ და ებრაული სამყაროს სიმართლეც. პრობლემა ისაა, რომ თავად სეკულარული მიდგომა განიცდის დევალვაციას, ჩვენს თვალწინ ახალი სამყარო იბადება, იმ სამყაროს წესები, რომლებიც უკვე აღარ მოქმედებს, დაიბადა ჯერ კიდევ იალტის კონფერენციის პირობებში. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, 90-იან წლებში დაიშალა საბჭოთა კავშირი, ანუ ერთ-ერთი გარანტი იალტის შეთანხმების, გაჩნდა ბიპოლარული სამყარო შეერთებული შტატების მეთაურობით, თუმცა შეერთებული შტატების მეთაურობით სამყარო დაისს უახლოვდება.

რუსეთი დადგა ფეხზე, ობამასი არ იყოს, უკვე აღარაა რუსეთი ბენზინგასამართი სადგური როგორც აღიქვამდნენ მას ამერიკელები. კიდევ რამდენიმე წელი და ჩინეთი, ალბათ, პირველი ეკონომიკა იქნება. შესაბამისად, ყველა მათგანს თავისი ინტერესები გაუჩნდა. ანუ მსოფლიო უბრუნდება იმ სტატუს-კვოს, რომელიც იყო თუნდაც 50, 100 წლის წინ. გავიხსენოთ ვესტფალიის ხელშეკრულება, როდესაც დაწესდა პირველი საერთაშორისო წესრიგი, მერე ვერსალი, ვენა, იალტა, ეს ყველა შეთანხმება აწესრიგებდა მთავარ წესებს მთავარ მოთამაშეებს შორის და 90-იანი წლების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩამოიშალა. დღეს ხდება ძველი წესების დაბრუნება.

– ძველ სამყაროსთან მიბრუნებას თქვენ რით ახსნით, იმით ხომ არა, რომ სრულყოფილი არ იყო და ნაძალადევად იყო შექმნილი იალტის და ყველა სხვა ხელშეკრულება?

– სრულყოფილებას ვერასდროს მივაღწევთ დედამიწაზე, მაშინდელი წესები ვითარებიდან გამომდინარე იყო და ყველაზე კარგი ვარიანტი გახლდათ იმ მომენტისთვის. ვერსალის ხელშეკრულება ავიღოთ, პირველ მსოფლიო ომში შევიდნენ იმპერიები თავიანთი წესებით, გამოვიდნენ დაშლილი იმპერიები და უამრავი ახალი სახელმწიფო გაჩნდა რუკაზე. მეორე მსოფლიო ომი ავიღოთ, ევროპა ფაშისტურია, საბჭოეთი სოციალისტური, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, აღმოსავლეთ ევროპა გახდა სოციალისტური, დანარჩენ ტერიტორიაზე გავრცელდა ლიბერალური წესები. ანუ ისევ გადაფორმატდა და ახალ სამყაროში აღმოვჩნდით. რაღაც ამგვარი ხდება ახლაც, მიმდინარეობს გადაფორმატირება, ლიბერალიზმის ფორმამ ჩიხური მიმართულება მიიღო. კლასიკური ლიბერალიზმი, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ დიდი მასწავლებლები, აღარ არსებობს.

– დღეს მსოფლიოში 5,6 მილიონი პალესტინელი ლტოლვილია. ესენი არიან მათი შთამომავლები, ვინც ისრაელი 1948 წელს დატოვა და იორდანიაში, ლიბანში, სირიაში გადასახლდა. 10-თვიანი ომის შემდეგ ისრაელმა პალესტინის ტერიტორიის 77% დაიკავა. როგორ გაგრძელდება პალესტინელების ცხოვრება, კიდევ დევნილების ერთ დიდ კოჰორტას მიემატებიან?

– იორდანიაში, ლიბანში 5 მილიონი მათი უშუალო შთამომავალია, ვინც ომების შედეგად საკუთარი ტერიტორიიდან განდევნეს. მათ გარდა, 8 მილიონ კაცზეა საუბარი, ანუ ახლანდელ მოსახლეობაზე, იქ ზოგი „ჰესბოლასთანაა“ შეკრული, ზოგი „ჰამასის“ ოპერაციებში მონაწილეობს, მათ უკან ოჯახებია. ამ დღეებში სტოლტენბერგი გამოვიდა და თქვა, საერთაშორისო ომის კანონები უნდა დაიცვასო ისრაელმა. საერთაშორისო კანონები რომ დაიცვას, პალესტინაში ყველა ოჯახის წევრი ლამის „ჰამასის“ წევრია, როგორ უნდა გამიჯნონ, იქ ვინ ტერორისტია, ვინ ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოქალაქე. ისე ხომ არ მოიქცევიან, „ისო ნავესში“ რომ არის აღწერილი, იერიქონის (ქალაქი პალესტინაში) აღებისას უფალმა უბრძანა ებრაელებს, ყველა ამოწყვიტეთო ბავშვიან-ქალიანად, ახლა 21-ე საუკუნეა და ასე არ გამოვა. ასე რომ, ისევ ვუბრუნდებით სეკულარულ მიდგომას, მხარეები უნდა შერიგდნენ, თუ არ უნდათ, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. ის, რაც დაადგინა გაერომ 1947 წელს, საბჭოთა კავშირის უშუალო თაოსნობით და ჩარევით, ზედმიწევნით აღასრულონ.

– მაგრამ ებრაელები ამაზეც ამბობენ, რომ პალესტინელებს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტა სურთ და აბრს კარგავს ორი სახელმწიფოს-ისრაელის და პალესტინის ჩამოყალიბება. ისრაელი ამერიკულ შეიარაღებას თითქმის ყოველდღიურად იღებს, უკრაინის მსგავსად, აქაც გამალებული შეიარაღება მიმდინარეობს, ნაცვლად იმისა, ამერიკამ მოლაპარაკებით გადაწყვიტოს საქმე.

– ამ შემთხვევაში, უკრაინა გამოდის შეერთებული შტატების სიტუაციურ მოკავშირედ და უკრაინა თამაშის ნაწილია, ისრაელი კი შტატებისთვის პრინციპული მოკავშირეა, ანუ მთავარი დასაყრდენია აღმოსავლეთში. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თავის დროზე შტატები როგორი ხალხის მიერ დაარსდა – პროტესტანტების, კალვინისტების მიერ, რომლებისთვისაც აღთქმული მიწა იდეაფიქსი იყო და დიდი ისრაელის აშენება სურდათ. დღეს ამერიკისთვის პრინციპული საკითხია ისრაელის დაცვა, მაგრამ ამ პრინციპულ დაცვას რა შედეგები მოჰყვება, როგორ დაირაზმება მთელი ისლამური სამყარო, უკვე ამაზე თავად შტატებშიც ჯანსაღად მოაზროვნე ხალხი ფიქრობს. გასაგებია, იალტის ძველმა სისტემამ ამოწურა თავი, მაგრამ ომი არაა აუცილებელი, შესაძლებელია, ზესახელმწიფოები დასხდნენ, მოილაპარაკონ და ომის გარეშე გადაინაწილონ ახალი სამყარო, რაც გარდაუვალია და რაც უშუალოდ იმოქმედებს ქართულ „რასკლადებზე“ სულ მალე.

– საქართველოს ადგილს სად ხედავთ? რას გვერჩის ზელენსკი, უკრაინა ხომ გაათავისუფლა და ახლა საქართველოს გაწმენდას იწყებს რუსი ოკუპანტებისგან?

– მინდა, ჩემი პოზიცია ზელენსკის მიმართ გულწრფელად გამოვხატო, რომ არც ერთი ნორმალური პირველი პირი არ მიიყვანდა ქვეყანას ამ მდგომარეობამდე, თუგინდ ზელენსკის იდეოლოგიური კლონები რომ ავიღოთ – იუშჩენკოსა და ტიმოშჩენკოს დროს არ მივიდოდა ქვეყანა ომამდე, რადგან, ასე თუ ისე, მათ მეტი პასუხისმგებლობა გააჩნდათ საკუთარი ერის წინაშე. უკრაინის ომი გამოიწვია იმან, რომ ფაქტობრივად, ჯამბაზი გახდა პირველი პირი და მთავრობა 95-ე კვარტლის კადრებით დაკომპლექტდა. ალბათ, დიდი ფულის სანაცვლოდ ვერ გათვალეს, რა რისკების მომტანია მტაცებელთან შეთამაშება, საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო. რაც შეეხება უკრაინაში გაკეთებულ განცხადებას, საქართველოში რუსებს დავარტყამთო, ნამდვილად არც უკრაინელებს, არც ზელენსკის არ აქვს ამის შესაძლებლობა. საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიმჯდარია „მთავარ არხს“, მეინსტრიმულ, „ნაციონალურ“ ტელევიზიებს და სჯერა, რომ პუტინი ბუნკერში იმალება, პუტინი მოკვდა, მიშას გენერლები გამოდიან, რაკეტები, ტანკები აღარ აქვთ რუსებსო. ტიკ-ტოკისთვის გადაიღებენ უკრაინული დივერსიული ჯგუფის ქმედებას, ერთი დრონის გადაფრენას, „ჭე“ კლასის ობიექტის აფეთქებას, იმას კი არ უკვირდებიან, უკრაინაში რამდენი სტრატეგიული ინფრასტრუქტურა განადგურდა, რამდენი უკრაინელი დაიღუპა. „ტიკ-ტოკის“ ომია უკრაინაში, ძალიან მარტივად უყურებენ ყველაფერს და მთლიან სურათს ვერ ხედავენ, რომ რუსეთი გამაგრებულია ხაზზე, იგებს, მიმდინარეობს რესურსების ბრძოლა, თუ ვის უფრო ადრე გამოელევა რესურსები. გეოგრაფიის ანაბანაა, გადახედონ რუსეთის შესაძლობლობებს, პატარა ქვეყანა არაა უკრაინა, მაგრამ უკვე მე-8 მობილიზაცია ტარდება უკრაინაში, ფაქტობრივად, უკრაინა დაცლილია შესაძლებლობისგან. ახლა მეორე ფრონტი გაეხსნა შტატებს, ისრაელში გადავა შეიარაღების ნაწილი, რაც თეორიულად, უნდა გაეგზავნათ უკრაინაში. 2024 წელს არ ვიცი, კიდევ რა მოხდება ტაივანში, ძინპინმაც განაცხადა, რომ 2024 წელი მოლო ვადა იქნება, ტაივანს ან დიპლომატიით დავიბრუნებთ, ან ომითო. შესაბამისად, მესამე ფრონტიც თუ გაიხსნა, ჩათვალეთ, უკრაინა ერთ თვეში დამთავრებული იქნება. შეიცვლება ის „რასკლადი“, რაც ჩვენთან არის, ე.წ. განლაგება, ეს განლაგება არის 2012 წლის შეთანხმების შედეგად შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. თქვენ გახსოვთ, კოალიციური რეჟიმის დროს რა კატეგორიის, იდეოლოგიის პარტიები იყო, ნელ-ნელა ირაკლი ღარიბაშვილი სოროსისტულ, გლობალისტურ ინტერნაციონალს ჯიბრში უფრო მეტად უდგას და ვფიქრობ, ახლო მომავალში ჩვენ ახალ „ოცნებასაც“ მივიღებთ, ახალი იდეოლოგიის პარტიებსაც და ახალ სახეებსაც.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

დღეს ამერიკისთვის პრინციპული საკითხია ისრაელის დაცვა, მაგრამ ამ პრინციპულ დაცვას რა შედეგები მოჰყვება, როგორ დაირაზმება მთელი ისლამური სამყარო, უკვე ამაზე თავად შტატებშიც ჯანსაღად მოაზროვნე ხალხი ფიქრობს. გასაგებია, იალტის ძველმა სისტემამ ამოწურა თავი, მაგრამ ომი არაა აუცილებელი!!!

ჯერ მძევლების გათავისუფლება, შემდეგ... მოლაპარაკება!

ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ცეცხლის დროებით შეწყვეტა იქამდე არ მოხდება, ვიდრე „ჰამასი“ ისრაელელ მძევლებს არ გაათავისუფლებს.

ნეთანიაჰუმ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მხარეებს „ჰუმანიტარული პაუზის“ აღებისკენ, რაც ღაზის სექტორში დამატებითი დახმარების შეტანას შესაძლებელს გახდიდა. როგორც ენტონი ბლინკენმა აღნიშნა, ასეთი პაუზა მძევლების გათავისუფლებისთვის უკეთეს გარემოსაც შექმნიდა.

ჰასან ნასრალა ისრაელზე თავდასხმას მხოლოდ „ჰამასს“ აბრალებს

ლიბანური შიიტური დაჯგუფების, „ჰეზბოლას“ ლიდერმა, ჰასან ნასრალამ დღეს მხარდამჭერებს მიმართა. სიტყვით გამოსვლისას, „ჰეზბოლას“ ლიდერმა 7 ოქტომბერს ისრაელზე თავდასხმას „დიდი, კურთხეული ოპერაცია“ უწოდა.

ჰასან ნასრალას თქმით, თავდასხმა სრულად „ჰამასის“ მიერ იყო დაგეგმილი და განხორციელებული. როგორც მან აღნიშნა, „ჰეზბოლას“ არ აწუხებს, რომ ეს ოპერაცია საიდუმლოდ იყო შენახული, რადგან „მას ესმის ოპერაციის სიურპრიზად შენახვის საჭიროების“.

ნასრალას თქმით, 7 ოქტომბრის თავდასხმამ პოლიტიკური მიწისძვრა გამოიწვია ისრაელში და ამას გრძელვადიანი ეფექტი ექნება, ხოლო თავდასხმებმა ისრაელის სამხედრო სისუსტეები გამოავლინა.

„ღაზაში, დასავლეთ სანაპიროზე და სხვა ფრონტებზე დაკარგული სიცოცხლე იყო ღირსეული მსხვერპლი, რადგან მათ დააარსეს ისტორიული, ახალი ეტაპი კონფლიქტში“, – განაცხადა ნასრალამ. როგორც „ჰეზბოლას“ ლიდერი აცხადებს, შეერთებული შტატების მიერ ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ფლოტების გაგზავნა ისრაელის სისუსტეებისა და მოკავშირეებზე დამოკიდებულების გამოვლინებაა.

დასახმარებლად ჩავიდნენ და... თავად ითხოვენ შველას!

გაეროს წარმომადგენლების თქმით, ორგანიზაცია ღაზის სექტორში არსებულ თავშესაფრებში შეხიზნული 600 ათასამდე ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვეღარ ახერხებს.

გაეროს წარმომადგენელი ტომას უაითი აცხადებს, რომ ომის გამო, პირდაპირი თავდასხმის ქვეშ აღმოჩნდა გაეროს ხუთი ობიექტი, რასაც საერთო ჯამში 38 ადამიანი ემსხვერპლა, 50-მდე ობიექტს კი მეტ-ნაკლებად შეეხო საბრძოლო მოქმედებები.



„გაეროს სააგენტო ღაზაში პრაქტიკულად ვეღარ საქმიანობს“, – აცხადებს ტომას უაითი.

თუ 5 წლის წინათ ქართველები ახალ წელს ძირითადად სახლში ხვდებოდნენ, უკვე გაჩნდა მოთხოვნა საზღვარგარეთ საახალწლო ტურებზე...

„მდიდარი ქართველები“ მომრავლდნენ თუ, კორუმპირებულნი?!

საშოგაო ტურების დაგეგმვა და ტურებზე ჯავშნების მიღება უკვე დაწყებულია. „კომერსანტი“ დაინტერესდა თუ რომელი მიმართულებებია საშობაო პერიოდში ყველაზე მოთხოვნადი და დაახლოებით რა ღირს მოგზაურობა ამ დროს.

როგორც ჩვენთან საუბარში ტურისტული კომპანია Travelholics-ის დირექტორმა და ტუროპერატორმა **მარი გიორგაძემ** განმარტა, საშობაო ტურები ძირითადად ნოემბრის ბოლოდან დეკემბრის 25 რიცხვამდე ტარდება.

„ნოემბრის ბოლოდან უკვე იწყება ევროპის ქალაქების მორთვა, შესაბამისად, საშობაო ტურებიც ამ დროიდან იწყება და დაახლოებით 25 დეკემბრამდე არის სასურველი მათი დაგეგმვა. დეკემბრის ბოლო რიცხვებში და იანვრის დასაწყისში ევროპელები ისვენებენ, ყველაფერი დაკეტილია და საექსკურსიო ვითარება არ არის“, – განმარტა **მარი გიორგაძემ.**

მისი თქმით, ყველაზე დიდი მოთხოვნა ჩეხეთსა და ავსტრიაზეა.

„წელს ყველაზე მოთხოვნად მიმართულებად კვლავ რჩება პრაღა, ვენა, ბრატისლავა და ასევე საშობაოდ ძალიან ლამაზია ხოლმე პოლონეთი, თუმცა რატომღაც დიდი მოთხოვნა ამ მიმართულებაზე არ არის და მოთხოვნის თვალსაზრისით ევროპის ქვეყნებში ჩეხეთი და ავსტრია ლიდერობს. ამ ორ ქვეყანაში დაგეგმილი ტურები უკვე გამოქვეყნებულია და დაწყებული გვაქვს ჯავშნების მიღება.

სტანდარტულად, თვენახევარი-ორი თვით ადრე ვიწყებთ ხოლმე ჯავშნების მიღებას. მათთვის, ვინც ადრეულ ჯავშანს აკეთებს, მოგეხსენებათ, ტურის ღირებულება გაცილებით ნაკლებია. ჩვენი საშობაო ტურები სტანდარტულად 4-დღიანია. იქიდან გამომდინარე, რომ მე აქცენტს ვაკეთებ ბიუჯეტურ მოგზაურობაზე, ტურის ღირებულება 1300 ლარიდან იწყება. რაც უფრო ნაკლები დრო რჩება ტურის თარიღამდე, თანხა, რა თქმა უნდა, იზრდება, ბილეთების ფასებიდან გამომდინარე, ამიტომ ზოგად ზედა ზღვარს ვერ ვასახელებთ“, – აღნიშნა **მარი გიორგაძემ.**

მისი თქმით, ბოლო რამდენიმე წელია გაჩნდა მოთხოვნა ახალი წლის დღეებში ტურების ჩატარებაზე, რის გამოც დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისში დაიგეგმება საახალწლო მოგზაურობებიც.

„რაც შეეხება საახალწლო დღეებს, 31 დეკემბერს და 1-2 იანვარს, თუ ჯერ კიდევ 5 წლის წინ, ყველას სურდა რომ ახალ წელს, ტრადიციულად, სახლში შეხვედროდა, ახლა უკვე გაჩნდა მოთხოვნა, რომ ამ რიცხვებში დავგეგმოთ მოგზაურობა, ამიტომ დავიწყეთ ამაზე მუშაობა და წელს უკვე დავგეგმავთ საახალწლო ტურებსაც ევროპის მიმართულებით“, – აღნიშნა მარი გიორგაძემ. **როგორც მან თქვა, „შავ პარასკევთან“ დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად ნოემბრის ბოლოს ცხადდება, კომპანიას აქვს საკმაოდ კარგი ფასდაკლებები, რომლითაც მომხმარებლები აქტიურად სარგებლობენ.**

„შავ პარასკევთან“ დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გვაქვს ხოლმე საშობაო ტურებზე ფასდაკლებები. გასულ წელს ჩვენი ფასდაკლებები შეეხო როგორც შიდა, ისე საზღვარგარეთის ტურებს და ბევრმა მომხმარებელმა ისარგებლა ამ შეთავაზებებით. შესაბამისად, წელსაც გვექნება ფასდაკლებები“, – განაცხადა **მარი გიორგაძემ.**

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტი: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAM)
სესხის No.: IBRD 8599-GE
ტენდერის/კონტრაქტის No.: SRAMP/CW/NCB-21; DEP230000029
პროექტის განმახორციელებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: 12 Al. Kazbegi Ave, Tbilisi, 0160, Georgia/საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
კონტრაქტის დასახელება: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები
Duration of Contract/კონტრაქტის ხანგრძლივობა: 8 თვე

No	ტენდერის მონაწილე	ამოკითხული ფასი სატენდერო წერილში	შეფასებული ფასი	Reason for rejection დისკვალიფიკაციის მიზეზი
1	ერთობლივი საწარმო „შპს სარტყელი“ და „შპს 22-ე სამშენებლო ბრიგადა“	4,235,185.00 ლარი	4,235,185.57 ლარი	-

კონტრაქტი მიენიჭა ერთობლივი საწარმო „შპს სარტყელი“ და „შპს 22-ე სამშენებლო ბრიგადა“-ს ღირებულებით 4,235,185.57 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: Secondary Road Asset Management Project (SRAMP) - P149953
Country: Georgia
The project implementing Agency: Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Bid/Contract Reference No: SRAMP/CW/NCB-21; DEP230000029
Scope of Contract: Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5
Duration of Contract: 8 months
Evaluation Currency: Georgian Lari

Evaluated Bidder(s):
Name : **Joint Venture "Sartkeli Ltd. & No.22 Construction Brigade Ltd"/Georgia**
Electronically Submitted Bid Price: GEL 4,235,185.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 4,235,185.57 (including VAT)

Awarded Bidder
Name: **Joint Venture "Sartkeli Ltd. & No.22 Construction Brigade Ltd"/Georgia**
Electronically Submitted Bid Price 4,235,185.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 4,235,185.57 (including VAT)

Rejected Bidder(s):
NONE

ევროლიგა

თორნიკე „ბრწყინვალე“!

ბრწყინვალე კონდიციებშია „ვირტუს ბოლონია“, რომელმაც ევროლიგაში ზედიზედ მეხუთე, ხოლო სერია A-ს ჩათვლით მე-9 მატჩი მოიგო.

ბოლონიელებმა ევროლიგის მე-6 ტურში შინ „ანადოლუ ეფესი“ 93:81 დაამარცხეს. ლუკა ბანკის გუნდმა ტაიმი წაგო, მაგრამ მეორე ნახევარში მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და მორიგი გამარჯვება ზედმეტი პრობლემების გარეშე იზეიმა.

„ვირტუსი“ რომ ბრწყინავს, ეს თორნიკე შენგელიას დამსახურებაცაა, რადგან ქართველი უბრალოდ დიდებულად თამაშობს. თორნიკე ოქტომბრის MVP გახდა, როგორც სერია A-ში, ისე ევროლიგაში და ნოემბერიც იდეალურად დაიწყო: ქართველი ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ძალიან დიდი ალბათობაა, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც მიიღოს. შენგელიამ 31 წუთში 19 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. მან 9-დან 5 ორქულიანი და 11-დან 9 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი კი ააცილა. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 30-ს გაუტოლდა, რაც არათუ შეხვედრაში, მთლიანად ტურში საუკეთესო მაჩვენებელია (ერთი მატჩი გადადებულია და ჯერ ტური არ დასრულებულა).

თორნიკეს გარდა, გამოირჩა მარკო ბელინელი 17 ქულით, თურქულ გუნდს კი შეინ ლარკინმა 16 ქულით ულიდერა. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მატჩის წინ შენგელიას ოქტომბრის MVP-ს ჯილდო გადასცეს.

„ვირტუს ბოლონია“ 5 მოგებით და 1 წაგებით ევროლიგაში მეორე-მეხუთე ადგილებს „ბარსელონასთან“, „ფენერბაჰჩესა“ და „ვალენსიასთან“ ერთად იყოფს, მომდევნო ტურში კი 9 ნოემბერს, „რეალს“, რომელიც ლიდერია, სტუმრად დაუპირისპირდება.

რაც შეეხება ფიბას ევროპის თასზე მოთამაშე თსუ-ს, იგი იტალიაში ჯგუფური რაუნდის მე-3 ტურში ვარეზესთან შერცხვა – 83:109 (16:37, 17:34, 31:17, 19:21), თუმცა ისიც სათქმელია, რომ ტიტულებით აპენინების მე-3 კლუბის სახით მრისხანე მეტოქე ჰყავდა: მოგებული აქვს **სერია – ა (10), თასი** (4), **სუპერთასი** (1), **ევროლიგა** (5), **საკონტინენტთაშორისო თასი** (3), **საპორტას თასი** (2), დაარსდა 1945 წელს.

მისი ლიდერია ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავი ვილი კოლი – სტეინი, სტუდენტებთან კი შაჰიდმა (20) და ბრაუნმა (18) იყოჩაღეს. სტუმართაგან გამოირჩნენ ჯინჭარაძე – 19, ვუიოვიჩი – 17, ტურძილაძე და ცაინცაძე – 14-14 ქულა. **გოტინგენი – კერავნოსი** 90:71.

28 ნოემბერს თსუ ლიდერ გოტინგენს უმასპინძლებს.

არესტოვიჩი პრეზიდენტობისთვის ემზადება

რისკებს ვაფასებ ფხიზლად, არ მეშინია. ჩემ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობაში ხელს არ შემიშლის, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილმა მრჩეველმა, ალექსეი არესტოვიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

„პარტნიორების მიწვევით საზღვარგარეთ ვიმყოფები, სადაც ბევრ შეხვედრაზე მთავარი სპიკერი ვარ. რისკი საკმარისად ბევრია. რა არ მიწოდეს, მოღალატიდან დაწყებული, სისხლის სამართლის დამნაშავით დამთავრებული. არის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ აღძრულია უმაღლესი რადას დეპუტატების მიერ და ეს აჩვენებს, როგორ ატმოსფეროშია ახლა უკრაინა. ყველაფერი ამის ცვლილებაა საჭირო. რისკებს ვაფასებ ფხიზლად, სრულიად არ მეშინია. აღძრული სისხლის სამართლის საქმეები ხელს არ შემიშლის საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობაში. ადამიანი არის უდანაშაულო, ვიდრე არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება. არ ვფიქრობ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება“, – განაცხადა ალექსეი არესტოვიჩმა.

ამასთან, არესტოვიჩი „ფეისბუქის“ გვერდზეც გამოეხმაურა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, უკრაინის უსაფრთხოების სამსახური მის საქმიანობას იძიებს.

„უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები იძულებულნი არიან, ჯაშუშების ნაცვლად, პოლიტიკური ოპოზიციის დევნა განახორციელონ. მოვა დრო და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები დაკავდებიან მათით, ვინც ეს გააკეთა. ოღონდ – რეალურად“, – აღნიშნა არესტოვიჩმა.

პარაწოლაჭიმი

კაიროდან – 6 მედლით

საქართველოს პარაწოლაჭიმის ნაკრებმა კაიროში 2023 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე წარმატებული სტარტი აიღო. ჩვენი ნაკრების ანგარიშზე სამი ოქროს და სამი ვერცხლის მედალია.

67კილოგრამ წონით კატეგორიაში **მაკა კვინჩიამ** ინდივიდუალურ ასპარეზობაში 84 კგ. დაძლია და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. იმავე დღესვე მან სამი მისვლის ჯამში ჩვენს ქვეყანას ვერცხლის მედალი მოუტანა.

ნათელა გამიდოვამ ოქროს მედალი სამი წარმატებული მისვლის ჯამში აიღო, ინდივიდუალურ ასპარეზობაში კი 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში 64კგ. დააფიქსირა და ვერცხლის მფლობელი გახდა.

სამი მისვლის ჯამში ოქროს მედალი დაისაკუთრა **ნინო საგაშვილმა.** ქართველმა პარასპორტსმენმა ინდივიდუალურ ასპარეზობაში 79კგ-მდე კატეგორიაში 55 კგ. დაძლია და ვერცხლის მედალი აიღო.



ლეგიონერი

აღაპტაცია სჭირდებაო...

ამსტერდამის „აიაქსის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯონ ვან შიპმა „ვოლენდამთან“ 2:0 მოგებული მატჩის შემდეგ გიორგი მიქაუტაძეზე ისაუბრა, რომელიც ამ შეხვედრაში არ ათამაშა. ამსტერდამელთა ახალი თავკაცი ფიქრობს, რომ გიორგის ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ ჯერ „აიაქსთან“ ადაპტაცია სჭირდება.

„მიქაუტაძეს ბურთთან ძალიან კარგი შეხება აქვს და შეტევის შესანიშნავად დასრულება იცის, რაც ვარჯიშებზე უკვე ვნახეთ. თუმცა, ჯერაც სჭირდება ადაპტაცია იმ ფეხბურთის სტილთან, რომელსაც ჩვენ ვთამაშობთ: თუ ბურთს კარგავ, რა უნდა გააკეთო? როგორ უნდა ითამაშო პრესინგზე?

ეს არის რაღაცეები, რის გამოც შეიძლება ცოტა მეტი დრო დასჭირდეს, მაგრამ გასაგებია, რომ მას ფეხბურთის თამაში შეუძლია. რა თქმა უნდა, მას აუცილებლად გამოვიყენებთ“, – თქვა ვან შიპმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მიქაუტაძის მდგომარეობა „აიაქსში“ უმძიმესია, რადგან დღემდე მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა და გოლი არ გაუტანია. ის მხოლოდ ერთხელ იყო ძირითად შემადგენლობაში. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მას არათუ მხოლოდ მორის სტეინი არ ათამაშებდა, არამედ ჰედვიგეს მადურომ საერთოდ არ გამოიყენა, ხოლო კიდევ ერთმა ახალმა მწვრთნელმა ჯონ ვან შიპმაც ის პირველივე მატჩში თადარიგში დატოვა და შეცვლაზეც არ მისცა შანსი.

მიქაუტაძე გასულ სეზონში საფრანგეთის ლიგა 2-ის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა, ხოლო მიმდინარე სეზონიც „მეცში“ მაგრად დაიწყო, ლიგა 1-ის სამ მატჩში 2 გოლი და 1 საგოლე პასი მიითვალა, მერე კი მოულოდნელად „აიაქსში“ გადასვლა ამჯობინა და კოშმარიც დაიწყო.

ზელენსკი ქვეყნის დატოვებას აპირებს?..

ბელარუსის ლიდერმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ უკრაინა „მაინც ჩვენი იქნება“, რომ შეერთებული შტატებისთვის ის მეორე ადგილს იკავებს და პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი თითქოს ემზადება ქვეყნის დასატოვებლად.

ლუკაშენკოს მიაჩნია, რომ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გამწვავების გამო, უკრაინა უკანა პლანზე დგას და პარტნიორები მას ზურგს აქცევენ.

„ახლო აღმოსავლეთში ვითარების გაუარესების გამო უკრაინა უკანა პლანზე გადადის. უკრაინა მაინც ჩვენი იქნება. არავის სჭირდება ეს უკრაინა. ომის დაწყებისას გავაფრთხილე, ზელენსკის დავურეკე: „ვოლოდია, მომისმინე, როგორც კი სადმე რამე უბედურება იქნება, მაშინვე დაგივიწყებენ. და რა ხდება? უკრაინა უკანა პლანზე გადადის“, – განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის ლიდერმა დასძინა, რომ დასავლელი პოლიტიკოსების შემხედვარე მას „ხანდახან ტირილი უნდა“ და თქვა: „ისინი არ ფიქრობენ ხალხზე. ამბობენ, რომ ზელენსკიც ემზადება წასასვლელად“.

კოლეგები

LA GAZZETTA DELLO SPORT საქართველოში შემოდის

მსოფლიოს წამყვანი სპორტული მედია La Gazzetta dello Sport საქართველოს ბაზარზე შემოდის.

ქართული კომპანია SMH Global-ის ინიციატივით 1 იანვრიდან ერთ-ერთი უდიდესი იტალიური სპორტული გამოცემის ქართულ ვერსიასაც ვიხილავთ – როგორც ბეჭდურს, ისე ციფრულს, რომელიც ვებ-გვერდს და აპლიკაციას მოიცავს.

როგორც SMH Global-bc -ის დამფუძნებელი **ლაშა მაჭავარიანი** აცხადებს, მოლაპარაკებები დაახლოებით ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა და წარმატებით დასრულდა, რის შედეგადაც 2024 წლიდან გამოცემის ქართული ვერსია უკვე ოფიციალურად ჩაეშვება.

ცნობილი იტალიური გამოცემა „ლა გაძეტა დელო სპორტი“ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, 1896 წლის 3 აპრილს დაარსდა და დღემდე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს სხვადასხვა სპორტის და მათ შორის, რა თქმა უნდა, ფეხბურთის გაშუქების საკითხშიც.

საქართველოში იტალიური ტოპ-გამოცემის შემოსვლა ორმაგად საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის ფონზე, რომ იტალიის უმაღლეს ჩემპიონატში უკვე არაერთი ქართველი ფეხბურთელი და კალათბურთელი თამაშობს და იტალიურ სპორტთან დღეს საქართველოს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

ვილოცებთ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილ ღმერთზე?

„კურთხევის მიღება ქალის ხმით გსურთ თუ მამაკაცის? როგორი კურთხევა გჭირდებათ?“ – გეკითხებათ რობოტი. თქვენ ასევე უნდა გააკეთოთ არჩევანი, თუ რა გჭირდებათ: კლასიკური, გასამხნევებელი თუ მოგზაურობისწინა კურთხევა. ამის შემდეგ რობოტი, სახელად „კურთხევა“ (BlessU) აწევს ხელებს და მოგანიჭებთ კურთხევას თქვენს მიერ შერჩეული კატეგორიის გათვალისწინებით. სურვილის შემთხვევაში, კურთხევაზე ბეჭდის დასმაც შეიძლება.

არის თუ არა რობოტისგან მიღებული კურთხევა ჭეშმარიტი კურთხევა?

კურთხევის მიღება გევრს მაინც სხვა ადამიანისგან ურჩევნია. რობოტი „კურთხევა“ არის ხელოვნების ნიმუში, რომელიც 2017 წელს ვიტენბერგში რეფორმაციის მსოფლიო გამოფენისთვის შეიქმნა. ის გვაიძულებს, არც თუ ისე ტრივიალურ კითხვაზე ვიფიქროთ – მაგალითად, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი კურთხევა.

ქადაგება ჩატჯიპიტის (CHATGPT) საშუალებით

ერთ მხარეს არის დროის მიერ გამოცდილი რიტუალები და ინსტიტუტები, მეორე მხარეს – თანამედროვე ტექნოლოგიები: ამ ორი ფენომენის სიმბიოზი გევრად უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. 2023 წლის ივნისში, ნიურნბერგში გამართულ პროტესტანტული ეკლესიის კონგრესზე დამსწრე საზოგადოებას შეეძლო მოესმინა ავატარისთვის, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მიერ ჩატჯიპიტის „ენაზე“ დაწერილ ქადაგებას კითხულობდა. კონგრესის ზოგიერთმა მონაწილემ ექსპერიმენტი საინტერესოდ მიიჩნია, მაგრამ იმის გამო გააკრიტიკა, რომ ხელოვნური ინტელექტის ქადაგებას ემოციები აკლდა და ღმერთი „ხელშესახებად“ არ გამოიყურებოდა. მიუნხენში, უფრო სწორად, ფრაიმანის პროტესტანტულ ეკლესიაში მოძღვარი ქადაგებებს ჩატჯიბიტის გამოყენებით წერს. შედეგი? საკმაოდ ერთგვაროვანი და ზედაპირული.

სასიხარულო ამბავი „ტექნოლოგიური მახარობლებისგან“

სამსგმით ლოგიკურია, რომ ხელოვნური ინტელექტით მაღალსულიერი და რელიგიური ხალხიც არის დაინტერესებული. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს,რომ ტექნოლოგიას, რომელმაც ცნობიერების მაგვარი „პროდუქტის“ უკვე შექმნა და განავითარა, მეტაფიზიკური პროექციაც ხელეწიფება. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ მათ, ვინც ახალ სასწაულმოქმედ გაჯეტებზე ხმამაღლა საუბრობს, ზოგჯერ „ტექნოლოგიურ მახარებლებსაც“ უწოდებენ. ზოგიერთი მათგანი ისეთ სასიხარულო ამბავსაც ავრცელებს, რომლის თანახმად, დროთა განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტი საკუთარი თავის სრულყოფასაც კი შესძლებს. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს სწრაფ და ექსპონენციალურ პროგრესს ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რადგან ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი კიდევ უფრო სწრაფი, ეფექტური და სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტის შექმნის წინაპირობა გახდება.

სინგულარობის ნირვანა

ასეთი უკუკავშირის შენარჩუნებამ შეიძლება ძალიან მოკლე დროში გამოიწვიოს ისეთი რობოტების შექმნა, რომელთა ინტელექტი ადამიანისას გევრად აღემატება. ამ თეზისს იზიარებს გამომგონებელი და ფუტურისტი, რაიმონდ კურცვეილი, რომელიც კომპანია „გუგლის“ ტექნოლოგიური მიმართულებების ხელმძღვანელია. მომენტს, როდესაც ხელოვნური ინტელექტი საკუთარი თავის გაუმჯობესებას იწყებს, რასაც, თავის მხრივ, ინტელექტის ნამდვილი აფეთქება მოსდევს, კურცვეილი „სინგულარულობას“ უწოდებს. ტექნოლოგიების მოყვარულთათვის სწორედ სინგულარობა იქცა ვნების მომენტად, რომელიც თითქმის რელიგიურად გამოიყურება.

მასკი: ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, ჩვენ ღმერთს მოვუხმობთ

სადაც სამოთხეა, იქვე, ახლოს არის ჯოჯოხეთიც. გევრნი, მათ შორის კომპანია „ტესლას“ აღმასრულებელი დირექტორი, ელონ მასკიც შიშობს, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება კაცობრიობა გაანადგუროს. აუცილებელი არ არის, ეს იმიტომ მოხდეს, რომ ხელოვნურ ინტელექტს რაიმე აქვს ჩვენი საწინააღმდეგო. თეორია, რომელიც ძირითადად შვედმა ფილოსოფოსმა-ტექნოლოგმა, ნიკ ბოსტრომმა შეიმუშავა, ამბობს, რომ ხელოვნური ინტელექტი, შესაძლოა, კონტროლიდან გამოვიდეს და კაცობრიობა მისი სამუშაოს ეფექტურად შესრულების ხელისშემშლელ ფაქტორად აღითქვას.

გაღაგვაქცევს თუ არა ხელოვნური ინტელექტი ქაღალდის დამჭერებად?

ბოსტრომის სააზროვნო ექსპერიმენტი ასე გამოიყურება: თუ დავუშვებთ, რომ ხელოვნურ ინტელექტს მიზნად რაც შეიძლება მეტი ქაღალდის დამჭერის („სკრეპი“) წარმოება დაუსახეს, მაშინ, შესაძლოა, სისტემამ დედამიწის ყველა რესურსი მათ შესაქმნელად გამოიყენოს. ჩვენ, ადამიანები მხოლოდ ქაღალდის სამაგრების დამზადებით დავკავდებით და საბოლოოდ, თავადაც გავნივთდებით მათში. ეს შეიძლება აბსურდულად ჩანდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხელოვნური ინტელექტი ხშირად პოულობს ინოვაციურ გზებს პრობლემების გადასაჭრელად, რომლებზეც ადამიანებს არასდროს გვიფიქრია (ზოგჯერ – გასაგები მიზეზების გამო). ხელოვნური ინტელექტის სავალი გზები, უბრალოდ, ამოუცნობია.

აშშ-ში უკვე შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის ეკლესია

ამასობაში, ხელოვნური ინტელექტი უკვე იქცა რელიგიად: მაგალითად, „გუგლის“ ყოფილმა თანამშრომელმა, ენტონი ლევანდოვსკიმ 2012 წელს აშშ-ში დააარსა ეკლესია სახელწოდებით „გზა მომავლისკენ“. ლევანდოვსკი მიიჩნევს, რომ შეიქმნება ხელოვნურად ინტელექტუალური ღვთაება, რომელიც ადამიანზე უფრო ჭკვიანი იქნება და სამყაროზე კონტროლს თავის თავზე აიღებს. მისი ეკლესიის მიზანი იყო ხელოვნური ინტელექტის ღვთაებად აღიარება და მისი თაყვანისცემა. 2020 წელს ლევანდოვსკიმ „გზა მომავლისკენ“ დაშალა. მაგრამ გევრი ვარაუდობს, რომ ღმერთი არ მოკვდა, ის კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს – ხელოვნური ინტელექტის დახმარებით.

გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის პროფესიონალი თანამშრომელი, წლების მანძილზე გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, უაღრესად ერუდირებული, თავმდაბალი და საქმისადმი ერთგული პიროვნება

გივი მელიქიშვილი

გივი ის კაცი იყო, ვისთან მეგობრობითა და ახლობლობით მუდამ შეგეძლო, გეამაყა – ახალგაზრდების დამრიგებელი, ზრდილი, ჩუმი და მოსიყვარულე პიროვნება, ერთგული მეუღლე და შვილებზე თავდადებული მამა. სამწუხაროდ, როდესაც გამომცემლობა „სამშობლოდან“ სააკაშვილის ზეობის დროს ათასობით ჟურნალისტი გამოგვყარეს, გივი მელიქიშვილი მას შემდეგ არ შეგვხმიანებია, იგი ჩამოშორდა ჟურნალისტურ საქმიანობას...

ვუსამძიმრებთ მელიქიშვილების ოჯახს ამ დიდ ტრაგედიას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ზნეკეთილი ადამიანის სული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მწუხარებით იუწყება აკადემიის მთავარი სპეციალისტის

ნოდარ ქობელაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20

საბერძნეთში ორი ქართველი მეზღვაური გარდაიცვალა

2 ნოემბერს, საბერძნეთის იგუმენიცას ნავსადგურთან, სადაც გემი სარემონტო სამუშაოებზე იმყოფებოდა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაზიანდა ქართველი მეზღვაური. მეზღვაური გადაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

26 ოქტომბერს, ამავე გემზე, პირველადი ინფორმაციით, ასევე უბედური შემთხვევის შედეგად, გარდაიცვალა ქართველი მეზღვაური, რომელიც 2 ნოემბერს საქართველოში გადმოასვენეს.

ვითარების ადგილზე გასაცნობად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლები საბერძნეთში გაემგზავრნენ.

მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში, აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება. მიმდინარე სამუშაოებს ზუგდიდის მერი შესაბამის სამსახურებთან ერთად გაეცნო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, 48 ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამში გათვალისწინებულია მილიონ ოთხას ცხრა ათას ოთხას სამოცდახუთი ლარი.

ბინები შეჭირვებულთათვის

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებულ 10 ოჯახს საცხოვრებელი სახლი გადაეცა.

იმერეთის სახემწიფო რწმუნებულის აპარატის ინფორმაციით, აღნიშნულ ოჯახებს სახლების გასაღები გადასცა და ახალმოსახლეობა მიულოცა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ.

„თერჯოლაში დღეს კიდევ ათმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა და მათ სრულიად კეთილმოწყობილი სახლები გადაეცათ. ჯამში ჩვენ შევძელით, თერჯოლაში ამ პროექტის ფარგლებში 29 ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროექტს სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ და წელს წყალტუბოსა და ტყიბულის თვითმმართველობების გადაწყვეტილებით, სახლები გადაეცა იმ ოჯახებს, რომელთაც ყველაზე მეტად ჰქონდათ ამის საჭიროება. მომავალ წელს აღნიშნულ პროექტს კიდევ, უფრო გავაფართოვებთ და იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდებიან“, – განაცხადა ზვიად შალამბერიძე.

„ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲢᲔᲢᲘ“ ᲒᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲓᲐ

3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ – „ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲢᲔᲢᲘ“ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲔᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲝᲪᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐᲪ ᲘᲧᲝ.

ᲒᲐᲚᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲔᲗᲘ ᲒᲐᲑᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲡ ᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲛᲔᲜᲢᲘ, ᲜᲘᲙᲐ ᲜᲘᲙᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲛᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ. ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲑᲐᲙᲣᲠ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ, ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲙᲘ – ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ᲘᲧᲝ.

– ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲛᲦᲔᲠᲘᲐ. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲙᲘ, ᲯᲘᲚᲓᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ. ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲒᲕᲐᲤᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲐ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲐ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

ᲓᲘᲙᲐᲞᲠᲘᲝ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ



ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲘᲙᲐᲞᲠᲘᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. 48 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲛᲘ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲝᲓᲔᲚᲡ, ᲕᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲩᲔᲠᲩᲔᲢᲘᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲧᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲠᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲑᲐ ᲒᲐᲐᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲑᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲐ. ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲛᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ Helloween-ᲘᲡ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲕᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲔᲠᲗᲝ ᲐᲥᲕᲗ. ᲕᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲛᲐᲡ „ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲕᲘᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲙᲐᲞᲠᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲑᲝᲜᲣᲡᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ.

ᲓᲐᲛᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ. ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ ᲨᲔᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ. ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ.

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲡ Calixcoca ᲰᲥᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲪᲓᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ. ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲘᲛᲣᲜᲣᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ. ᲔᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲡ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ.

„ᲗᲣ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ“, – ᲗᲥᲕᲐ ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙᲝ ᲒᲐᲠᲡᲘᲐᲛ, ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲛᲐ.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ**

„ᲯᲝᲖᲔ“ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲡᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ „ᲟᲘᲠᲐᲤᲘ ᲯᲝᲖᲔ“ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲝᲛᲡ. „ᲟᲘᲠᲐᲤᲘ ᲯᲝᲖᲔᲡ“ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲛᲐᲚᲔ YOUTUBE-ᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲟᲘᲠᲐᲤᲘ ᲯᲝᲖᲔ – ᲐᲜᲘᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲑᲐᲦᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲚᲘ: ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲗᲕᲚᲐ, �გᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა.Შ. ᲯᲝᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡ“ ᲐᲜᲘᲛᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ; „ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 18 ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ: JOZE TAKES OVER AMERICA !

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲚᲔᲓᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲖᲔ ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲬᲔᲠᲔᲜ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲯᲝᲖᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲘᲣᲗᲣᲑᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ. ᲯᲔᲠ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛᲡ ᲯᲝᲖᲔ ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ – ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲣᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲡᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲐᲜᲘᲛᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲟᲘᲠᲐᲤᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ.

ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲛ ᲔᲚᲔᲜᲐ ᲩᲣᲞᲠᲐᲙᲝᲕᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ. ᲠᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ Ა�გᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲜᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲗᲕᲚᲐ, ᲒᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა.Შ. ᲯᲝᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡ“ ᲐᲜᲘᲛᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲯᲝᲖᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲘᲣᲗᲣᲑᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲒᲐᲓ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲔᲡ ᲐᲛ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲔᲡ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲑᲐᲡ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲛᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲔᲑᲘᲪᲐᲐ OpenAI, Google DeepMind, Amazon, Mistral, Microsoft ᲓᲐ Meta.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲖᲔ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲡᲐᲛᲘᲢᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ.



ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲣᲜᲔᲕᲗ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲠᲘᲨᲘ ᲡᲣᲜᲐᲙᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲔᲡ ᲐᲛ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ